№ 73 პარასკევი, 2 აპრილი 1910 წ. № 73

# დროება

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან (კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოეულ ხაზისს 4 ხაზამდე ღირს 3 მ, ოთხი ხაზის მეტზე მეტი ეღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცელ და ამხ.—ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ხ. სიტოვისა, და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130. პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დაბეჭდილი განცხადებები მიიღება „დროების" რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 7 მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს სულ არ ინახავს. ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის [illegible] დღევის 3 საათამდე. ადგილის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. „ДРОЭБА".

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 2 კაპ.

იბეჭდება და მალე გამოვა BATON-ის წიგნი

## „ერი და კაცობრიობა".

დაბეჭდილია 300 გვერდზე მეტი. ვთხოვთ იმ აგენტებს, ვისაც გაეგზავნა საკვიტანციო წიგნაკები და ანგარიში ჯერ არ გაუსწორებია, გამოგზავნონ ფულიც და წიგნაკებიც.

ფული და წერილები შეიძლება გამოიგზავნოს „დროების" კანტორაში.

გამომცემელი მ. ხუციშვილი.

(5—1)



## სახაზინო თეატრი

პარასკევს, 2 აპრილს,

● გამოსამშვიდობები წარმოდგენა ●

სასახლის არტისტის

## როზერტ ლენცისა

## ● ელეონორა ლენცის მონაწილეობით

სულ ახალი პროგრამმა: ციგნების რომანსებს შეასრულებს ქალი როზერტ ლენცისა m-lle ზინა ლენცი. დასაწყისი საღამოს 8½ საათზე.

ბილეთები იყიდება თეატრის კასაში. დაწვრილებით აფიშებში.

(4—ხალ.—4)

## ქართული თეატრი

შაბათს, 3 აპრილს, წარმოდგენილი იქნება:

## ◀ ბებრის საღერღელი ▶

ვოდ. 1 მოქ. აწყურელისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი გაბუნია-ცაგარელი, თ. გოგოლაშვილი; ბ-ნი ვ. აბაშიძე და მგალობლიშვილი.

II

## საკონცერტო განყოფილება

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნი არტისტი ქალი ვესელოვზოროვისა, ბ-ნნი ევლახიშვილი, ივანე სარაჯიშვილი და პალცევი.

სხვათა შორის შეასრულებენ: 1) პალცევისა და სარაჯიშვილი ორკესტრით დუეტს ოპერა „რიგოლეტტოდან"; 2) სარაჯიშვილი ორკესტრით არიას ოპერა „კარმენიდან"; 3) ევლახიშვილი ორკესტრით—არიას (სურათის წინ) ოპერა „ბალ-მასკარადიდან"; 4) სარაჯიშვილი ორკესტრით—არიას ოპერა „მარგალიტის მაძიებლებიდან"; 5) ევლახიშვილი—არიას ოპერა „დონ-ჟუანიდან".

ამავე საღამოს ბ-ნი სარაჯიშვილი პირველად შეასრულებს ორკესტრით არაყიშვილის ახალ ოპერიდან, „შოთა-რუსთაველიდან" მგოსნის არიას.

ყველა ზემოხსენებული ნომრები სარაჯიშვილის მიერ ქართულად იქნება შესრულებული.

ბილეთები გაიყიდება თეატრის კასაში

წარმოდგენისა და კონცერტის მოთავე ი. კარგარეთელი.

დასაწყის სწორედ 8 საათზედ.

(8—6.—6)

## სავაჭრო სახლი ი. გოკიელოვის შ-ბი ქუთაისში

ამით აცხადებს, რომ მათ მიიღეს განსაკუთრებითი უფლება გაყიდვის რამდენიმე წლით საუკეთესო ხარისხის ცნობილი ფირმის ხ. ს. ხრისტოდულიდის აბრეშუმის თესლისა, მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ მათ საკუთარ სავაჭროში ქუთაისში. რადგანაც თესლი შემზადებულია საგანგებოთ ქუთაისის გუბერნიის ჰავაზე, ამიტომ მყიდველთ უნდა მიაქციონ განსაკუთრებითი ყურადღება კოლოფზე ქართულ ნაწერს და ბეჭედს სავაჭრო სახლი ი. გოკიელოვის შვილებისას.

(45—151—41)

## შემთხვევით იყიდება

ძრიელ იაფად ორ სართულიანი სახლი. შესდგება 13 ოთახისა და 6 სამზარეულოსაგან. მიწა ზომით 60 ოთხკუთხი საჟენი. ავლაბარში, თელავის ქუჩა, № 17. არამიანცის საავადმყოფოს ახლო. შეიძლება იჯარითაც გაცემა. პირობების გაგება შეიძლება იქვე.

## ტფილისის კერძო სამკურნალო

30 მუდმივი საწოლით და სამშობიარო განყოფილებით.

ღია არის ყოველ დღე გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ქსენიას ქუჩ, სახლი № 7 „ვეტცელის" სასტუმროს ახლოს,

ტელეფონი № 590.

ლამბაშიძე გ. დ.: შინ. და [illegible] ხას. 1—2 ს. დღე; გარდა კვირა. 11-12 საა[illegible]

გედევანიშვილი მ. ა. ნერ[illegible] ორშ., ოთხშ., და პარ. 10½—11 [illegible]

გურკო გ. ა. შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.

კარშინი. ა. ა. კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა 2½—3½ ს.

მაღალაშვილი გ. გ. შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

ქიქოძე ტ. ს. შინაგანი. ორშ. და ოთხშაბ. 9—10 ს.

მანსვეტოვი გ. მ. შინ., ორშ., ოთხშ., [illegible]

მელიქიშვილი. ნ. მ. ქირურ. და დედაკაც. ყოველდღე 12—1 ს.

მუსხელიშვილი გ ს. თვალის, ორშ., [illegible] პარასკ. 2 2-ნახ. ს.

ფირალოვი რ. ბ. ქირურ. ყოველ-დღე

პაპოვი გ. ა. ყურ., ყელის და ცხვი., ყო დღე გარდა პარას. 2—2-ნახ. ს.

რცხილაძე. ნ. კბილ. ყოველ დღე. 9—10 ს.

ხოზოლევსკი გ. გ. ქირურ,. ყოვ. დღე, 9—11 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ. და ბაქტეროლოგიური ლაბორატორ. რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათ. საფასურით.

(200—6.—146)

## ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.

გ. ვაშაყმაძე—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.

ი. გ. გომართელი—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.

ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, 11½—12½ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

ნ. მ. მელიქიშვილი—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.

გ. ს. მუსხელიშვილი—სამშ., ხუთშაბ., და შაბათ. 2—2½ ს. თვალისა.

ბ. ა. პოპოვი—ყელ., ყურ. და ცხვირ. ყოველ დღე 12—1 ს.

ე. გ. ფედოროვი—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 2 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი.

მიკროსკოპიული, ბაქტეოროლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ებიოპერაცი და კონსილიუმი მორიგებით.

(წლ.—6.—309)

## „გლეხი-კაცი", ისტორია"

უკვე დაიბეჭდა და ხელ[illegible]ს მომწერლებს დაურიგდება პირველ მაისიდან. ვისაც კვიტ[illegible] დაკარგული აქვს, უნდა [illegible] ოოს აგენტს კვიტანციის ნომერი 25 აპრილამდე, წინააღმდეგ შემთხვევაში არც აგენტები და არც გამომცემლობა პასუხს არ აგებს მათ წინაშე. (2—1)

## ექიმი კბილისა ქუთაისში ნ. ა. დემიდოვი

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბდრონის ქუჩა, N 14, სახლი დემიდოვისა, (0—586—402)

## ექიმი ქუთაისში კ. თ. ტყეშელაშვილი

იღებს შინაგან და სპეციალურად ვენერიულ სნეულებით ავადმყოფთ (სუსუნატი, სიფილისი, საშარდე მილის, ბუშტის და თირკმელების (პაჭების) სატკივარი). დილით 9—12, საღამოთი 5—7 საათ., კვირაობით მხოლოდ დილით. ტფილისის ქ., სახლი ფირალოვისა. (72—კვ.—9)

## ექიმი გაბ. ი. გოკიელოვი ქუთაისში

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფებს დილით 9—12 ს. და საღ. 5½—6½ ს. ვენერიულ ავადმყოფების მიღება, (ელექტრონის საშუალებით ბუშტის და საშარდე მილის გასინჯვა საღამოს 6½—8 ს. ტუბერკულიონით წამლობა ჭლექიანებისა, ელექტროტერაპია, ელექტრონის ფიბრაციის მასსაჟი. ალექსანდროვის ქ., საკუთარი სახლი. (50—კვ.—38)

ქუთაისში

## კბილის ექიმი ა. ა. ბუტულოვისა

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. და საღამოთი 4—7 ს. მოსწავლენი იხდიან ნახევარს. გიმნაზიის ქ., ა. თუმანოვის სახლი, ბულვარის პირდაპირ. 25—კვ.—12

## კაბინეტი ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი მ. გედევანიშვილისა.

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. N 79. (0—6.—37)

## ექიმი კბილისა რომანიშვილი-დგებუაძისა

იღებს ავადმყოფებს 2—6 საათზე. პლომბის გაკეთება, კბილის ამოღება და ხელოვნური კბილების ჩასმა ყველასათვის ხელმისაწვდენ ფასში. მოსწავლე ბავშვებს დაკლებულ ფასებში.

ბინა: ავჭალის ქუჩა, N 34. (50—6.—52

## ექიმი ი. იაკ. გოკიელოვი

მიიღებს ავადმყოფებს ვენერიულ, სიფილისის, კანის სატკივრებისა, აგრეთვე სქესობრივ უღონობისას 9—12 ს. და 5—8 ს. საღამოს. მიხაილოვის ქუჩა, N 113, ვეტცელის სასტუმროს გვერდით. (3—209—4)

## ექიმი ე. ვაშაკიძე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბელინსკის ქუჩა, N 18 (ყოფილი კირპიჩნაია). (0—96

## ექიმი შ. მიქელაძე

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ. საღამოს 5—6 საათზე. ავლაბარი, კაზგეროვის ქუჩა N 17, პროვიანტის მაღაზიის პირდაპირ. ტელეფონი N 816. (0—62)

## ექიმი ქუთაისში ფ. ი. გასნევსკი

იღებს ავადმყოფებს შინაგან სნეულებათა და ბებიაობისას დილით 11—1 საათამდე, საღ., 5—7 საათამდე. კაზაკოვის ქ. N 13. ღარიბებს უფასოდ. (25—კვ.—20)

## ექიმი გ. ლამბაშიძე

გადავიდა გოლოვინის პრ. N 8, ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ

## ექიმი დ. ახვლედიანი

იღებს ავადმყოფებს. შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. საღამოს 5—7 საათზე. ელისაბედის ქ. N 92. წლ

## ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე

იღებს ავადმყოფებს დილით 10—2 ს., საღამოთი 5—7 ს. ვერა, ოლგას ქუჩა N 25.

## ექიმი კბილისა ალ. სოლოლაშვილი

იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივანისა. (უ)

## ექიმი გ. ს. მუსხელიშვილი

იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნის ქ., № 9. (უ)

## ექიმი ა. ნ. დიასამიძე

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4, სახლი გაბაშვილისა. (უ)

## ექიმი ვასილ წერეთელი ქუთაისში

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს. საღამოს 4—6 საათზე. ივანოვის ქ., მოხე ქიქოძის სახლი. (0—უ.—152)

## ივ. გრ. ხალათიანი

იღებს ყოველგვარ განცხადებას ადგილობრივ და სხვა ქალაქების გაზეთებისათვის. ვისაც სურს მასთან საქმე დაიჭიროს, უნდა მიმართოს გაზეთ „დროება"-ს კანტორაში: დიდი ვანქის ქ., № 12. (0—4)

## სახალხო უნივერსიტეტი

9 აპრილს სახაზინო თეატრში არის

◀ ლ ე ქ ც ი ა ▶

ექიმ

## გ. ვ. სოზოლევსკისა

## „მოგზაურობა ● შუა-გულ აფრიკაში. კონგო"

ფასი ადგილებისა დაკლებულია. ბილეთები იყიდება სამკურნლო საზოგადოების შენობაში (ბარიათინსკის ქ. № 5). (4—6.—4)

## შპალერი

8 კაპეიკიდან 6 მან.-მდე რულო

## ძმ. ტარნოპოლების

საწყობი რუსეთის ყველა დიდ ქალაქშია.

განყოფილება ტფილისში: გოლოვინის პრ., № 21, არტისტ. საზოგად. ქვეშ, ტელ. № 355.

ფასები საფაბრიკოა.

ნიმუშები უფასოდ. (50—1046—6)

## ქვის ქარხანა

გვაქვს დამზადებული ძეგლები, მშვენიერი ფორმისანი, ალგეთის ქვისა და განჯის ფერად და თეთრ მარმარილოსი, დიდრონები და პატარებიც, ყველა ფასიანი. აგრეთვე ვიღებთ შეკვეთით იტალიის თეთრ მარმარილოს ძეგლებს.

შეკვეთილი ძეგლები მზადდება სუფთად, ჩვენ თითონვე ვმართავთ საფლავზე, ძეგლები მაისის გასვლამდე მეტად დაკლებულ ფასებში გაიყიდება.

ადრესი: კუკიის სასაფლაოს პირდაპირ, ქვის ქარხანა გრიგოლ და ლევანტი მიროტაძეებისა. (8—208—3)

## სახელმწიფო სათათბირო

(პეტერბ. დეპ. სააგენტ.)

### კანონპროექტი შაქრის ფასის ფასის დაკლების შესახებ.

31 მარტის სხდომაზე სათათბირომ განიხილა ფინანსთა სამინისტროს მიერ შეტანილი კანონპროექტი იმ ზომების შესახებ, რომელთა წყალობითაც შესაძლებელი იქნება ხელოვნურად აწეულ შაქრის ფასის დაწევა. განსამარტებელ მოხსენებაში ჩამოთვლილია რამდენიმე მიზეზი, რომელმაც ხელი შეუწყო შაქრის ფასის აწევას, მაგრამ უმთავრეს მიზეზად დასახელებულია სპეკულიანტების მეცადინეობა. ამ სპეკულიანტებს უნდათ, ხელთ ჩაიგდონ რაც სათადარიგოდ გადადებული შაქარია და ფასები ასწიონ. ამას ამბობს სამინისტრო. სათათბიროს საფინანსო კომისიამ თავისით მცირედი ბრალი დასდო თვით სამინისტროსაც, რომელმაც თავის დროზე შესაფერი ზომები არ მიიღო.

ამ კანონპროექტის განხილვას სათათბირომ მთელი დილის სხდომა მოანდომა. ყველა ფრაქცია, ზოგიერთ მემარჯვენეების გარდა, თანახმა იყო სამინისტროს კანონპროექტის მიღებისა, თუმცა მემარჯვენენი დიდ მნიშვნელობას არ აძლევდნენ მას.

**დზიუბინსკიმ** (ტრუდ—კმა) სთქვა: შაქრის მრეწველების არა-ნორმალური მდგომარეობა შედეგია ფინანსთა სამინისტროს მთელი პოლიტიკისა, რომელიც მფარველობას უწევს მსხვილ მრეწველობას და სხვათა შორის შაქრის მრეწველობასაც. შაქრის ნორმის დაწესება მხოლოდ აფერხებს საქმესაო.

**კილევეინმა** (კადეტმა) შაქრის ფასების მოწესრიგებისთვის საჭიროდ სცნო გადათვალიერებულ იქნას ის კანონები, რომელნიც შაქრის ნორმას აწესებენ.

ესევე აზრი გამოსთქვეს ოქტომბრისტებმა.

**პოლეტაევი** (ს.-დემოკრ.) შეეხო მუშების გაჭირვებულ მდგომარეობას შაქრის ქარხნებში. სპეკულიანტი მრეწველები დიდ-ძალ ფულს იგებენ, მაგრამ მუშათა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად დღემდე არაფერს აკეთებენო.

სათათბირომ ბოლოს მიიღო კანონ-პროექტი.

### შეკითხვა ძირითად კანონების შეცვლის შესახებ.

საღამოს სხდომაზე სათათბირომ განაგრძო იმ შეკითხვის განხილვა, რომელიც შეეხება ძირითად კანონების შეცვლას. ამ შეკითხვაზე, როგორც ვიცით, უკვე იყო კამათი. ოპოზიციამ ერთხმად აღნიშნა მაშინ, რომ 24 აგვისტოს წესებით მთავრობამ დაარღვია ძირითადი კანონები და სათათბიროს კომპეტენცია სრულიად ჩამოაშორა სამხედრო და საზღვაო საქმეები. როგორც ვიცით, ეს წესები გამოიცა იმ შეტაკების გამო, რომელიც მთავრობასა და საკანონდებლო დაწესებულებებს შორის მოხდა საგენერალო შტაბის შტატების შესახებ.

31 მარტის სხდომაზე სიტყვები წარმოსთქვეს სოც.-დემ. პოკროვსკიმ, ნაციონალისტმა პოლოვცევმა, კადეტმა მილიუკოვმა და პრემიერმა სტოლიპინმა.

**პოკროვსკი** მეორე ჯერ შეეხო საქმის იურიდიულ მხარეს და ამტკიცებდა, რომ მთავრობას არავითარი უფლება არა ჰქონდა გამოეცა 24 აგვისტოს წესები. შემდეგ ორატორმა ილაპარაკა ოქტომბრისტების კონსტიტუციონალიზმზე და შეეკითხა ამ პარტიის ფრაქციას, რომელიც ეხლა, ძირითად კანონების დარღვევის დროს, მხარს უჭერს მთავრობას, სად არის თქვენი კონსტიტუციონალიზმიო. მომხრე არავარ იმ წესისა, რომელიც ამბობს, „რაც ცუდია, მით უკეთესიაო", მაგრამ არის მომენტები, როცა ნებაუნებურად ისურვებ ამას. კონსტიტუციონური ილიუზიები ჰქრება და რჩება მარტო შავი სინამდვილე. რუსის ხალხი შესაფერ დასკვნას გამოიყვანს აქედან.

**პოლოვცევი** (ნაციონალისტი). 24 აგვისტოს წესები კონსტიტუციას სულ არ ეხება, რადგან რუსეთში არავითარი კონსტიტუცია არ არსებობს. ჩვენი წეს-წყობილება განსაკუთრებულია, თავისებური, თვითმპყრობელ წარმომადგენლობითი. ჩვენი საკანონმდებლო დაწესებულებები ბრძოლით არ მოუპოვებია ხალხს. როგორც მემარცხენენი ამბობენ, ისინი გვიბოძა თვითმპყრობელმა ხელმწიფემ. ჩვენ კანონებში არსად არ არის ნახსენები სიტყვა „კონსტიტუცია". ამიტომ ხელმწიფეს შეუძლიან შესცვალოს წესები.

**მილიუკოვმა** (კადეტი) სთქვა, შეკითხვას ის აზრი აქვს, რომ ააშკარავებს ოქტომბრისტებისა და ნაციონალისტების ბრძოლასაო. რუსეთში კანონი უნდა ბატონობდეს, მაღლა უნდა იდგეს ყველაფერზე, ნამდვილად-კი უმაღლესი ბრძანებებით ყოველგვარ კანონს აუქმებენ. 24 აგვისტოს წესებით ირღვევა ძირითად კანონებით დაწესებული კანონის ბატონობა. 24 აგვისტოს წესების ძალით მთავრობამ უკვე ჩაიდინა მრავალი უკანონობა. დასასრულ, ორატორი შეეხო დღევანდელ პოლიტიკურ ვითარებას. მართალია, მინისტრ პრეზიდენტმა, დიდის ხნის ყოყმანის შემდეგ, გაჰბედა და დააჯარიმა „რუსკოე ზნ.", რომელმაც დღეს დაბეჭდა, რომ სტოლიპინმა საჩუქარი მიიღო ებრაელთა დეპუტაციისაგანაო, მაგრამ სრულიად გაუგებარია, როგორ არ დააჯარიმეს იგივე „რუსკ. ზნამია", რომელმაც რამდენიმე დღის წინად დაბეჭდა, რომ ხელმწიფე და მემკვიდრე ჭეშმარიტ რუსთა კავშირის წევრებად არიანო (თავმჯდომარემ შენიშვნა მისცა ორატორს). სრულიად გაუგებარია, როგორა ჰბედავს „რუსკ. ზნამია", რომელიც ბრალსა სდებს ხელმწიფეს, ვითომ იგი წევრად იყოს მკვლელთა და ამკლებთა საზოგადოებისა...

ამ სიტყვებზე მარჯვნივ საშინელი ხმაურობა გაისმა. მემარჯვენენი ყვიროდნენ, აბრახუნებდნენ. პურიშკევიჩი და ობრაზცოვი იძახდნენ: „საძაგელო, საზიზღარო". თავმჯდომარემ სიწყნარე ვერ ჩამოაგდო და მილიუკოვი ტრიბუნიდან ჩამოვიდა.

შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა **სტოლიპინმა**. მინისტრმა სთქვა, ჩვენ შეგვეძლო შეკითხვა სულ მიგვეღო, რადგან 24 აგვისტოს აქტი არ არის მთავრობის მოქმედების შედეგი, იგი სურვილი და ნებაა ხელმწიფე იმპერატორისა და გამოცემულია ძირითად კანონების მე-12 მუხლის ძალით. ოპოზიციის აზრით, მთავრობა ჰკვეცავს სათათბიროს უფლებებს და ადგია რეაქციონურ პოლიტიკას. მთავრობამ მართლაც სასტიკი პასუხი გასცა რევოლიუციას, რევოლიუციონერებს და მათ თანამგრძნობელთ და სწორედ ამასა სთვლიან რეაქციონურად. მაგრამ ივიწყებენ, რომ ამავე დროს მთავრობა ამყარებს უფლებრივ წყობილებას და ანხორციელებს რეფორმებს. არის შეცდომები, ძალ-მომრეობაც, მაგრამ მთავრობამ სამაგიეროდ 135 ადგილას გააუქმა გაძლიერებული წესები. იქ-კი, სადაც რევოლიუცია არ ჩამქრალა და ყუმბარებით ხაზინებს აფეთქებენ, მთავრობა ძალით ამყარებს და დაამყარებს წესებს. როცა რევოლიუციის ხანას გავივლით, ხალხი მადლობელი იქნება მთავრობისა. საჭიროა ეხლა წესიერება და ერთსულოვანი მუშაობა მთავრობისა და წარმომადგენლობით დაწესებულებებისაო. შემდეგ ორატორი შეეხო ჯარს. უნდა ავამაღლოთ ჯარის სულიო. რევოლიუციამ ვერაფერი დააკლო ჯარს. საჭიროა ჯარის საქმეს ერთი კაცი განაგებდეს და ასეთი არის ხელმწიფე იმპერატორიო. ორატორმა ასე დაამთავრა: მე დარწმუნებული ვარ, რომ სათათბირო უკუ-აგდებს შეკითხვას და ამით გააგებინებს ყველას, რომ რუსეთის დაცვის საქმეში უნდა შევერთდეთ და მხარი დაუჭიროთ რუსეთის ერთ ისტორიულ უფლებას: ძლიერი იყოს იგი.

სხდომა ამით დამთავრდა.

# დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

1 აპრილი.

**საზღვარ-გარედ.**

**ვენეცია.** ტარნოვსკაიას საქმე. ექსპერტმა პროფესსორმა ბორრიმ განაცხადა, კომაროვსკი ჭრილობებისაგან გარდაიცვალა და არა მოუვლელობისა გამო, როგორც ზოგიერთები ამტკიცებენო. პროფესსორი ჯიორდანო სულ სხვა აზრისაა. მისი სიტყვით, კომაროვსკის ბოლო მოუღო პროფესსორ კავაცცანის ოპერაციამ, შესაძლებელია კომაროვსკი ჭრილობებისაგანაც გარდაცვლილიყო, მაგრამ ოპერაციამ დააჩქარა უბედურებაო.

**ვენეცია.** პსიხიატრის კაპპილეტის გამოკვლევით, ნაუმოვი არანორმალური ადამიანია. ნაუმოვი მაზოხიზმით არის შეპყრობილიო, სთქვა კაპპილეტიმ. მასზედ ყველაფერი გავლენას ახდენს, სუსტი ხასიათისაა, ნერვებ აშლილიაო. ამის გამო ნაუმოვი ტარნოვსკაიას სათამაშო იარაღად გადაიქცა, ტარნოვსკაიამ მასში ყოველივე უნარი და ნიჭი მოჰკლაო. ვენეციის სულით ავადმყოფთა საავადმყოფოს დირექტორმა, პროფესსორ ბელმონდოს სიტყვითაც ნაუმოვი მაზოხიზმით არის შეპყრობილი, ნერვებით ავადმყოფია და ბოროტმოქმედების ჩადენის დროს სრულიად არა ჰქონდა შეგნებული რას სჩადიოდა. ამავე აზრისაა ავერსის სულით ავადმყოფთა საავადმყოფოს დირექტორი ექიმი ბიანკი.

**მარსელი.** ტრამვაი სრულად არ დადის. ვაგონებს იცავს პოლიცია. ნაპირებზე მუშაობა თითქმის განახლებულია.

**ლონდონი.** გარეშე საქმეთა მინისტრმა გრეიმ განაცხადა, ჩინეთის მთავრობამ ცზინჯოუ-აიგუნის რკინის გზის გაყვანა ამერიკელებს და ინგლისელებს მიანდოო.

**ბელგრადი.** დილით ჩამოვიდა მეფე პეტრე. მეფეს დაუხვდნენ მემკვიდრე, მინისტრები, დიპლომატიური კორპუსი და სხვა. ქალაქი ბაირაღებით არის მორთული.

**სტამბოლი.** სულთანი წავად გახდა. გაზეთები აღნიშნავენ სალდათების არეულობის წლის თავს და სწერენ, რომ ამ ერთი წლის განმავლობაში ოსმალეთმა ბევრი რამ გააკეთა, ნამეტან საგარეო პოლიტიკასა და სამხედრო საქმეში.

ბოლგარელმა დეპუტატებმა პანჩო დორევას თავჯდომარეობით შეადგინეს ახალი საპარლამენტო პროგრესსიული პარტია. პარტია ხელს შეუწყობს ოსმალეთ-ბოლგარიის დაახლოვებას.

ოსმალეთის გალათა-სარაის ლიცეის ექვსასმა მოწაფემ სწავლა შესწყვიტა. მოწაფეები პროტესტს უცხადებენ საერო განათლების მინისტრს. ლიცეის ავტონომიურ მართველობაში ერევაო.

დღეს ალბანეთში გაიგზავნა ხუთი ბატალიონი.

**ხარბინი.** აგენტმა, რომელიც ხელს უწყობს რუსების გავაის კუნძულებზედ გადასახლებას, ამერიკელ კონსულის თანადასწრებით კუნძულებზედ გასაგზავნავად ჩასწერა 300 რუსი მუშა. უკვე გაგზავნეს 100 მუშა.

**სენ-ეტიენი.** პოლიციამ დააპატიმრა მუშა დიუპლანელი, რომელიც დაჟინებით თხოულობდა მინისტრ-პრეზიდენტის ბრიანის ნახვას, დაპატიმრებულს აღმოაჩნდა ხანჯალი და ორი რევოლვერი. დიუპლანელმა განაცხადა, ბრიანი უნდა მომეკლა, რადგან მან ჩემი ადგილი დაიჭირაო. იგი ჩიოდა, სპირიტების მსხვერპლი შევიქენიო. ჰფიქრობენ, რომ დიუპლანელი სულით ავადმყოფია.

**სპარსეთი**

**თეირანი.** პარასკევს ელიან საათარ-ხანს და ბაგირ-ხანს. მთავრობამ მათ დასახვედრად გაგზავნა სეპეხდარის ძმა. მეჯლისმა განიხილა ამ დღეებში მიღებულ კანონ-პროექტის შედეგები. კანონ-პროექტით, მთავრობას მარილის გაყიდვის მონოპოლია მიეცა. ამის გამო მარილის ფასმა ძალიან აიწია. ერთი ხალვარი მარილი 80 კრონი ფასობს. ეშინიათ, რომ ამის გამო ჩრდილოეთ სპარსეთში ბაზარი რუსეთის მარილმა არ დაიჭიროს.

**რუსეთი**

**პეტერბურგი.** კონფისკაცია უყვეს გაზეთ „რუსკ. ზნამიას" მე-72 ნომერს. რედაქტორი დუბროვინი სასამართალში მისცეს.

**ოდესსა.** გაანთავისუფლეს დარაჯი ბეკეტოვი, რომელმაც სასიკვდილოდ დასჭრა სათადარიგო ჯარისკაცი ფრეინშტეინი. საქმეს მოსპობენ.

**პეტერბურგი.** ადმინისტრაციის განკარგულებით, ათასი მანეთით დააჯარიმეს „ჟურნალ სან-პეტერბურგის" რედაქტორი. თუ ჯარიმას ვერ გადიხდის, რედაქტორი $1^1/_2$ თვით სატუსაღოში უნდა ჩაჯდეს.

**კუსტანაი.** კუსტანაის ახლო უცნობებმა მოჰკლეს ოთხი თათარი ვაჭარი. ბოროტგანმზრახველებმა წაიღეს 22,000 მანეთი.

**კავკავი.** სამხედრო სასამართლო შეუდგა მესიაცევის საქმის გარჩევას. მესიაცევი ამ რამდენიმე ხნის წინად ყაჩაღებმა გაიტაცეს და მხოლოდ 18,000 მანეთის მიღების შემდეგ გაანთავისუფლეს.

**პოლტავა.** ბერესტოკკაში სულ ერთიანად გადაიწვა სოფლის სამართველო. დაიწვა დოკუმენტები, საქმეები და 5,300 მანეთის ვექსილები. ცეცხლის წაკიდებას აბრალებენ ნამამასახლისარს, რომელიც დააპატიმრეს. ამბობენ, ნამამასახლისარმა მამასახლისობის დროს ფული გაფლანგა და რომ მთავრობას მისი ოინები არ გაეგო, ამიტომ საბუთის ქაღალდები დასწვაო.

**პეტერბურგი.** უმაღლესმა სასამართლომ საზღვაო მინისტრის თავმჯდომარეობით განიხილა ინდოეთ-ჩინეთის საგემო საზოგადოების საჩივარი. 1904 წელს ნაღმოსანმა „რასტოროპნიმ" ჩაჰძირა ზემოდ აღნიშნულ საზოგადოების გემი „გიპსანგი". საზოგადოება გემის ასანაზღაურებლად 440,000 მანეთს თხოულობდა. სასამართლომ უყურადღებოდ დასტოვა საზოგადოების საჩივარი.

# ივერიის ეკლესიის მამულების ბედი

(წერილი რედაქციის მიმართ)

„კაცი შენდებოდეს.—შეეწია, იქცეოდეს—შეეხია"

**ძველი ანდაზა.**

როგორც მკითხველებმა უკვე იციან, დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია იმ ამბავმა, რომ ქალაქის გამგეობა გატაცებით მეცადინეობს ვერის სასაფლაოს „იჯარით" აღებას. ამ საქმის მოგვარებას ხსენებული გამგეობა შეუდგა ჯერ კიდევ ექსარხოსის მოადგილის ეპ. გრიგოლის მმართველობის დროს. მაგრამ იმ დროს სასურველ დონეზე დაყენებულ მოლაპარაკებას უსწრო ახალმა არქიელმა. ამიტომ ქალაქის გამგეობის წარმომადგენლებმა, ბ-ნთ ხატისოვმა და ქანანოვმა, ჩამოსვლისათანავე ექსარხოსი მიიწვიეს აღნიშნულ სასაფლაოს დასათვალიერებლად.

როგორც „კავკაზი" იუწყებოდა, ახალმა ექსარხოსმა თითქოს კიდევაც გამოსთქვა „პრინციპიალური თანხმობა აღნიშნულ სასაფლაოს ნაწილის (3 დესეტინა) ქალაქისათვის გადაცემაზე, იქ ბავშვების სათამაშო ბაღის გასამართავად. ხოლო ქალაქის თავის მოადგილემ ბ-ნმა ხატისოვმა ამისათვის საჭირო აგებისა და ხარჯთ-აღრიცხვის შედგენა მიანდო ქალაქის მიწის-მზომელს მელიქ-ალახვერდოვს და ინჟენერს აბელოვს". მაგრამ ასე დაწყებულ საქმის წარმოება შეაფერხა გაზეთ „ნოვ. რეჩ"-ში მოთავსებულმა წერილმა ამ სათაურით: „საქართველოს ეკლესიის მამულის დატაცება". ამ წერილს შედეგად მოჰყვა ის, რომ გუშინდელი მოიჯარადრენი დღეს დავას უცხადებენ ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიას, რომ ამ უკანასკნელმა თითქოს მიითვისა და დაიმიჯნა მემამულის გაბაშვილის მიერ სასაფლაოსთვის ნაჩუქარი ადგილი: ეკლესია სასაფლაოს დაარსების ორმოცი წლის შემდეგ აშენდაო...

გაბაშვილის მიერ ნაჩუქარ ქართველთ სასაფლაოზე თავის დროზე, ესე იგი მაშინ, როდესაც იმ მხარეზე ქალაქი გაშენდა, ქართული სამრევლო ეკლესიაც აშენდა, რომელიც აწ გაუქმებულ სასაფლაოს პატრონად იქმნა კანონის მიერ ცნობილი. მერე ბ-ნ ხატისოვ-ქანანოვებს რა? თითქოს ალექსანდრე ივანიჩმა, როგორც ქალაქის თავის მოადგილემ, ახალ ექსარხოსის მისალმებად წარმოთქმულ სიტყვაში ივერიის ეკლესიისადმი მზრუნველობაც გამოიჩინა! ის შესთხოვდა ექსარხოსს: „ვინძლო ივერიის ეკლესიას ჭრილობები დაუამო" ახლა კი ამავ ეკლესიის მამულს „მუნიციპალიზაციას" უპირებს და, როგორც გადმოგვცეს, იმედს არა ჰკარგავს თურმე, რომ ამ საქმეში გამარჯვება მას დარჩება. ამავე დროს ჩვენი ქალაქის მამები ეჩმიაძინის მონასტრის კუთვნილ მუხრანის ხიდთან მდებარე ათიოდ საჟენ მიწაში ამ მონასტერს 25.000 მანეთს აძლევენ. ჩვენ იმისი თქმა-კი არ გვინდა, რომ არ უნდა მისცენ მონასტერს ფული —ჩვენ ვამბობთ, ასეთი მზრუნველობა ივერიის ეკლესიის შესახებაც უნდა გამოიჩინონ.

მაგრამ, ივერიის ეკლესიის არა ერთი და ორი ძვირფასი მამული დაუტაცნიათ წინადაც სხვა და სხვა „საპატიო" მიზეზით. ჩვენი ეკლესიიდან ჩამორთმეულ მამულების მცირედი საფასით დღეს მთელი კავკასიის მართლმადიდებელ სასულიერო უწყების მართვა-გამგეობა სწარმოებს. გარნა თუ რამ კიდევ ქონება შერჩენია ეკლესიას, როგორიც არის, მაგალითად, ვერის წმ. ნიკოლოზის ნასაფლავარი ვრცელი ძვირფასი ეზო და ერთიორად უფრო ძვირფასი სემინარიის ძველი შენობა, ესენიც დღეს თუ ხვალ ხელიდან წავა. ვერის სასაფლაოს შესახებ გადამწყვეტი სიტყვა უნდა უნდა წარმოსთქვას სასინოდო კანტორის პროკურორმა, რომელმაც, გაზეთების სიტყვით, ექსარხოსის მინდობილებით უნდა შეჰკრიბოს „ამ სასაფლაოს შესახებ დაწვრილებითი ცნობები"! ხოლო სემინარიის ძვირფასს შენობის ვეებერთელა ეზოთი გაყიდვა უწმ. სინოდისაგან მინდობილი აქვს სემინარიის ეხლანდელ გამგეობას ანუ, უკეთ რომ ვსთქვათ, რექტორს. მაგრამ ჯერ მუშტარი არა სჩანს და ეს ძვირფასი განძი, რომელიც შემოსავლის დაუშრეტელი წყაროდ უნდა იყოს და გალატაკებულ ეკლესიის კულტურულ-განმანათლებელ მოთხოვნილებას მალამოდ მოეცხოს, ამდენი ხანია გდია უსარგებლოდ, გულსაკლავად დაყრუებული.

გვახსოვს, 1907 წელს ქართველ სამღვდელოებას იმ მიზეზით უთხრეს უარი სემინარიაში სალვთის-მეტყველო საგნების ქართულად სწავლებაზე, რომ სახელმძღვანელოები არა გაქვთ ქართულ ენაზე, ხოლო სახელმძღვანელოების შედგენა-გამოცემას ფული უნდა, რომელიც თქვენ არ მოგეპოვებათო. იმავე დროს კი იმავე სამღვდელოებას ეკითხებოდნენ: „გაგვიცვლი თუ არა სემინარიის ახალ შენობაში ძველ შენობას, რომ სინოდმა ეს უკანასკნელი მოიხმაროს თავის საჭიროებისათვისაო". სამღვდელოებამ უარი სთქვა ასეთ წინადადებაზე: სემინარიის ახალი შენობა, კანონის ძალით, სინოდს ამდენ ხანსაც უნდა აეშენებინაო, გარნა ძველ შენობას ქართველი სამღვდელოება გადააქცევს შემოსავლის წყაროდ, რომლის სახსარით დაკმაყოფილებულ იქნება ეკლესიის განმანათლებელი მოთხოვნილებანიო. მაგრამ ამ პასუხის შემდეგ აღმოჩნდა, რომ ჩვენს ეკლესიას საკუთარი არა აბადია-რა. ამიტომ სინოდმა მოსწერა ადგილობრივ სასულიერო მთავრობას —გაჰყიდეთ სემინარიის ძველი შენობა, რომ ახალ შენობაზე დახარჯული ფული აგვინაზღაუროთო. ესენიც ეძებენ მუშტარს. მუშტარიც ალბად გამოჩნდება...

ასე დაილია ივერიის ეკლესიის ქონება. თქმა არ უნდა, ესეთივე ბოლო მოუღის ვერის გაუქმებულ სასაფლაოსაც...

**უ. ნაროძე.**

# მცირე შენიშვნა

(ბ-ნ დადვაძის წერილის გამო)

ბ-ნ დადვაძის წერილი „ოსკარ უაილდი" („დროება" № 72) შეიძლება ორნაირად მივიღოთ: ერთი მხრით, როგორც გადმოცემა ჩემის ლექციისა, და მეორის მხრით, როგორც საკუთარი შეხედულება ავტორისა. ეს ორი მხარე არ არის ამ წერილში საკმაოდ განწევრებული, და ამისათვის ზედმეტი არ იქნება, მცირე შენიშვნა გავუკეთო მას. ამასთან ვეცდები ამ შენიშვნით ჩემი ლექციის გადმოცემაც შევასწორო და ავტორის საკუთარი შეხედულებაც გავარჩიო.

**პირველი.** ბ-ნი დადვაძე ასე გადმოგვცემს: ადამიანის წინ წამოიჭრება სიკვდილი მთელის თავის შემზარავი საშინელებით. „თუ სხეული ურიგდება სიკვდილს, ამაყი სული მას ზიზღს უცხადებს. პიროვნება, როგორც სული, გვერდს უქცევს ყოველსავე, რასაც კავშირი აქვს სინამდვილესთან და თავს აფარებს მის მიერვე შექმნილს ტრანსცენდენტალურ სამყაროს. აქ, ამ ოცნების მხარეს არა რა ეწინააღმდეგება ადამიანის სულისკვეთებას. ადამიანი აქ განიცდის სიხარულსაც, მეგობრობასაც, გმირულ თავგანწირულებასაც, სიყვარულსაც. მაგრამ მხოლოდ გრძნობს... ეს ოცნების მხარე, ეს სიმბოლიური სინამდვილე აღძრავს სურვილს მარადის ნეტარებისას, მარადის მეგობრობისას მარადის სიყვარულისას". — ამგვარი გადმოცემა ჩემი შეხედულებისა სწორი არ არის. სქემა ჩემი აზრთა მსვლელობისა ასეთია: ადამიანი, როგორც განსხივრებული „მე", გრძნობს თავის უსრულობას და სიკვდილის საშინელებას. სიყვარულში იგი განიცდის თავის „მეს" დასრულებას და გრძნობს

# ბედის ვარსკვლავი

**4.*)**

ბესომ რომ მტკიცე უარი სთქვა დაბლის შეგირდობაზე და სამუდამოდ ზურგი შეაქცია მამის ხელობას, ეს ადვილი გასაგები იყო დედისათვის და სხვებისათვისაც: იცოდნენ, რომ სძულდა ეს ხელობა, იმის მოგონებაზე უსიამოვნოდ აჟრჟოლებდა, დაბახანის სუნის გახსენებაზე პირის ოფლს ასხავდა და გული ულონდებოდა. ხომ უყვარდა ბესოს მამა და ძმა, მაგრამ მათთან მიახლოვება ეზარებოდა, რადგან მათ ყოველთვის სდევდა თან ეს აუტანელი სუნი. ეს ყველამ იცოდა სახლში და ამიტომ არ გაუკვირდათ, როცა ბავშმა უარი გამოაცხადა სასწავლებლიდან დაბახანაში გადასვლაზე. მაგრამ ის კი ადვილად შესაგნებელი არ იყო სახლობისთვის, რად არ დათანხმდა მაღაზიაში შესვლაზე და უარი ჰყო სოვდაგრობის გზა.

ვერ გაეგოთ, ესე ძლიერ რამ მიიზიდა ბავში სასწავლებლისა და წიგნებისაკენ, რად ჩასჭიდა ამ ბოლო დროს მძლავრად ხელი სწავლას და ყოველსავე ღონისძიებასა ხმარობდა, არ მოჰშორებოდა სკოლას და პირველი ადგილი დაეჭირა იქ. ძნელი გასაგებიც იყო ეს: მართალია, სწავლა არ უძნელდებოდა ბავშვს, რადგან საკმაო ნიჭი ჰქონდა და შრომის უნარი, მაგრამ სწავლის სიტკბოება სავსებით არა ჰქონდა ჯერ შეგნებული და მით უფრო მიმზიდველ ძალას ვერ წარმოადგენდა მისთვის მშრალი კაკვეთილები. ის კი მაინც თავს აკლავდა ამ გაკვეთილებს თუ წიგნებს, ჩასციებოდა მათ, მედგრად ებრძოდა. უკვირდა ეს ყველას და მით უფრო, რომ ესეთი დაჟინებული მუშაობა ბავშმა ამ ცოტახანში დაიწყო, თორემ წინად ბევრს არას დაგიდევდა გაკვეთილების სწავლას, არც თუ წიგნებზე რჩებოდა ძალიან თვალი. ისიც კარგად ესმოდა, რომ ღარიბი მამა ბოლომდის სარისტას ვერ მიადევნებდა. არც თითონ უნდოდა ბალღს, ბოლომდის მძიმე ტვირთად დასწოლოდა ხალხს და თავის თავისათვის ენაცვალებინა ოჯახის კეთილდღეობა. შინაობას უკვირდა ასეთი ცვლილება და ვერ მიმხვდარიყვნენ ამ ცვლილების მიზეზს. რა იცოდნენ, რომ ეხლა ბავშვისათვის სწავლას შეუერთდა ბრწყინვალე რამ მიზანი და ამან სწავლა მიმზიდველად გარდაჰქმნა ბავშვისათვის. ამ ახალმა ძალამ თვალი აუხილა ბავშვს ახალი სივრცის სახილველად, დაიმონავა მისი არსება, მოაჯადოვა იგი და სამუდამოდ მიჯაჭვა წიგნზე, ყურმოჭრილი მონა გახადა წიგნისა და იგი მონობა სასიამოვნოდ დაუხატა. ეს მომხიბლელი ნათელი უეცრად მოელანდა და მიხვდა ბესო, რომ ერთად ერთი გზა ამ ნათელთან მიმყვანებელი იყო ის ბილიკი, რომელიც გადიოდა სასწავლებლებზე და რომელიც განათებული იყო სწავლის ბრწყინვალე სხივებით.

დაბალ კოპრუას სახლი ხომ ქალაქის განაპირას იდგა, ხევ ზევით. ვაჟთა სასწავლებელი ქალაქის მეორე ნაპირს მოჰქცეოდა. პატარას თავის სახლიდან მთელი ქალაქი უნდა გაევლო, რომ სკოლაში მისულიყო. ქალაქში არსებობდა ქალთა სასწავლებელიც და ეს სასწავლებელი ქალაქის მეორე ნაპირს იყო გამართული. ბესო რომ სკოლაში მიდიოდა ან იქიდან შინა ბრუნდებოდა, ყოველთვის წინ მოსწავლე ქალები შეხვდებოდნენ ხოლმე. ბესო მათ არავითარ განსაკუთრებულ ყურადღებას არ აქცევდა, რადგან მასში ისევ ეძინა ქალთადმი მიმზიდველ ძალას. გარდა ამისა, იმ სასწავლებლის ქალები სულ სხვა ოჯახებიდან იყვნენ და არც მასთან, არც იმის სახლთან საერთო არა ჰქონდათ რა. სცხვენოდა კიდეც ბალღს ამ მოსწავლე ქალებისა: ისინი ყოველთვის სუფთად იყვნენ ჩაცმულნი და კოხტად, ბიჭს კი ხან მესტები ჰქონდა დაგლეჯილი, ხან ქუდიდან თმა ამოსჩროდა ან მუხლისთავები თუ ნიდაყვები ჰქონდა მოცვეთილი და გამოგლეჯილი. მეტადრე არ უყვარდა მათი შეხვედრა წვიმატალახში: ვერაფერი სანახავი იყო მაშინ ბავშვი ამოზუნზლულ-ამოლაფული! გულისტკივილითა გრძნობდა ამას ბესო, ფეხმარდად და მორიდებით გაივლიდა ხოლმე მოსწავლე ქალების ახლო. მთლად გზასაც აუქცევდა ხოლმე მათ, საცა კი შეიძლებოდა: ეშინოდა, ყურადღება არ მომაქციონ და არ დამცინონო.

მაგრამ ერთხელ ისეთი მოჩვენება ნახა ბესომ სკოლის გზაზე, რომ ფეხის აჩქარებისა და მორიდების მაგივრად, შედგა განცვიფრებული, გაშეშდა ადგილობრივ, ქვად გარდაიქცა მოხიბლული.

**5.**

ბესიკის მომჯადოებელი მოჩვენება იყო თენგიზ ვამეყის ძის პაწაწინა შუქია. მოსწავლედ მიებარებინათ იგი და სასწავლებელში მიდიოდა იმ დილას. ჯარის კაცი მისდევდა უკან მოწიწებით, ხელში ბალღის ჭრელი შალი ეჭირა და წიგნებით სავსე ხალთაგუდა. პატარა კოხტად იყო გამოწყობილი სასკოლო ტანისამოსში, ზევიდან პაწაწინა ჯუბა ჰქონდა წამოსხმული, აბრეშუმით ნაქარგი, ყვითელ ფეხსაცმელზე იდგა დაწკრიალებულზე, ფაფანაკივით რამ ხავერდის ქუდი ეხურა ოქრომკედით მორთული. სხივებივით თმა გამოშლოდა ფაფანაკიდან მხრებზე, ხშირ კულულებად გადმოჰფენოდა. დილის მზის სხივები ჩაჰკონებოდნენ ბავშვს კულულებში და შარავანდედად შემორტყმოდნენ იმის მშვენიერ თავს, ნათელ სახეს. მზის მხიარული სხივებით განათებული ბავშვი თითონაც იგივე სხივი იყო მნათობისა, იგივე ნათელი მხიარულ ანგელოსის სახედ შენივთებული, სხივსავითვე სპეტაკი, უმწიკვლო, გამჭვირვალე ეთეროვანი, კარგი.

ბესიკმა რომ ბავშვი დაინახა, ლანდად რაღმე მოეჩვენა, იმ ჰაეროვან არსებად, რომელიც ზღაპარში გაეგონა, ან ოცნებაში დაესახნა ბუნდად. შესდგა ბესიკი და მოჯადოებული შეჰყურებდა ბავშვს. პატარამ შენიშნა ეს, გაჰკვირდა, კიდეც ეწყინა, ერთი გადმოჰხედა ამაყად და განაგრძო გზა ბაკიბუკით. ბალღმა თვალი ველარ მოსწყვიტა ამ ნათელ ჩვენებას, სანამ იგი თვალთაგან არ მიეფარა.

ამ პატარა ქალის მამა თენგიზი პირველი კაცი იყო ქალაქში და დიდად პატივცემული. ლაშქარი იყო დაბინავებული ქალაქში და ამ ლაშქრის სარდლად ბრძანდებოდა თენგიზი. ძალიან დამსახურებული კაცი იყო, მთელი მკერდი ჯვრებით თუ სხვა საპატიო ნიშნებითა ჰქონდა სავსე. ამაყი, რიხიანი; ჯილა წარბები ჩამოჰშლოდნენ მკაცრად გამომეტყველ თვალებზე. ჭადარა გრძელი ულვაში ყავლას აძლევდა ისეც ბრგე ვაჟკაცს. მბრძანებლობას შესჩვეოდა თენგიზი და თუნდ მცირედი ურჩობა სისხლს უმღვრევდა და აჰარხლებდა ისეც ჟინჟღილივით ვაჟკაცს. რომ ჩამოუვლიდა გამწკრიებულ ჯარს ჯინჯილებით და დეზებით შემკულ-მოკაზმული და მჭექარის ხმით დასძახებდა ბრძანებას, უნებლიეთ მოკრძალებას იწვევდა ყველაში. დაუნდობელი იყო სამსახურში, სასტიკი, ცეცხლი იყო შემწველი უგვან ხელქვეითებისა; მაგრამ ამავე დროს მამა მოწყალე გამრჯელთა და აზრიანთათვის. სახლში კი სხვა იყო თენგიზი: გულხალვათი, ხელგაშლილი, უხვი, დარდიმანდი. მისი სტუმართ-მოყვარება განთქმული იყო მთელ მაზრაში. რა გინდა, სულო და გულო, რომ იმის სუფრაზე არა მდგარიყო! ღვინო ღვარივით მოდიოდა, სამხედრო მუსიკა ალიონამდის გრიალებდა, კეკლუცთ რხევა ნაზად აღელვებდა დამთბარ დამტკბარ ჰაერს. მემრე რა ძვირფასადა ჰქონდა სახლი მორთული! ორხოები, ხავერდი, ფარჩა, რბილი სკამ-სავარძელი, არშიები, ბაბთები. ბრჭყვრიალ-კრიალა ავეჯი თუ ჭურჭელი; სისუფთავე, სინათლე, სილბო, სუნნელოვანება; დარაზმული მსახური!

ეჰ, ვინა სთქვა იმ უშნომ, სილარიბე საძრახისი არ არისო?!

დიასახლისი დიდი ოჯახის ქალი იყო, წარჩინებულისა. იმას რომ მზითევი მოჰყვა, დღესაც საზღაპროდა აქვთ ნაცნობებს. ქართულად იცვამდა ქალი. სულ ფარჩაში თუ ოქრომკედში იჯდა. გამხდარ-გამხდარი ქალი იყო, გამჭირვალე, ნაზი, ნარნარის ქცევისა. მას თავის დღეში არ ენახა გაჭირვება, მხოლოდ შორიდან გაეგონა სილარიბე. იმის ბროლის თითებს არ განეცადათ მუშაობა, არ მიჰკარებოდათ ტლანქი რამ საქმე სამძიმო. ცხოვრების წალკოტში მხოლოდ ყვავილთ ფურცელი ეკრიფნა, მხოლოდ ყვავილთ ნექტარი ესვა, ყვავილთ სუნი ეყნოსა სუნნელოვანი. ყმაწვილობიდანვე შესჩვეოდა ყველასაგან პატივცემას, სიყვარულს, თაყვანებას; ეხლა კი ალერსის ბური ეხვია გარს სათუთ არსებას.

ამ ბედნიერ დედმამის უმცროსი ქალი იყო პატარა შუქური, რომელიც ზეცათ მოვლენილ ჩვენებათ მოელანდა ბესიკს და რომლის სხივოსნობამ ისე მოაჯადოვა პატარა.

**6**

ბესიკმა რომ სწავლა შეიყვარა ბოლოს დროს, ის რომ დაჟინებით ჩააცივდა კითხვას და დიდი მუყაითობა გამოიჩინა გაკვეთილების მზადებაში ან სხვა წიგნების კითხვაში, ეს სულ შუქურის უნარი იყო, მისი უჩინარი ზედგავლენით მოხდა ეს ყოველივე. ბესიკს მოელანდა ეს შუქისაგან შეთხზილი ქმნილება და თავისი თავი ერთობ ბნელად ეჩვენა მასთან შედარებით, მიწურად, მოუხეშავად, ულირსად. ორივენი ხომ ბავშვები იყვნენ, მაგრამ როგორ განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან! საერთო არაფერი იყო იმათ შორის. ან კი რა უნდა ყოფილიყო საერთო ამ წარჩინებულ კაცის შვილის და ვილაც გლახაკის ბალღის შორის?

ახ, როგორ არაფერში ჰგავს ეს სპეტაკი ბამბის ქულა მწვირიან, თმა აჩეჩილ, გაზ ტალახიან, ჩაჭმეხეულ დარიკოს, რომელიც მისი ამხანაგია სულ პატარაობიდან და რომელთანაც თამაშობს ხოლმე ბესიკი! კეთილი კია, ერთ ვაშლსაც არ შესჭამს ისე, რომ ბესიკსაც არ გაუყოს. მაგრამ ეს პატარა ქალი სხვა არის, სულ სხვა!

განათდა ბესიკის აღფრთოვანებულ ოცნებაში შუქური, ეთეროვანი შეიქმნა. ჩამოეცალა ყოველივე მწიკვლი, ამაღლდა, დაედარა ზღა-

*) იხ. „დროება" N 71.

უკვდავებას. მაგრამ მხოლოდ განიცდის: იგი გრძნობა უკვდავებისა სხეულს ვერ იხამს,—და ნაღვლობს ადამიანი. მას სწადია საჭვრეტი სახე მაინც მისცეს იმა გრძნობას უკვდავებისას, ჩამოასხას იგი ხელოვნურ სახედ,—და ჰქმნის იგი ხელოვნებას: პოეზიას, მუსიკას, მხატვრობას... ეს არის ხელოვნური სინამდვილე... ხოლო ეს სინამდვილე სიმბოლოა სხვა სინამდვილისა, ასე ვსთქვათ, „ნამდვილი სინამვდილისა“. ხელოვანი ცდილობს სიმბოლიური სინამდვილე აქციოს ჭეშმარიტ სინამდვილედ, ცდილობს გახდეს რელიგიურ გარდამქნელად სიცოცხლისა. და ვერ აღწევს რა მიზანს, ჩერდება შუა გზაზე: იწყებს სიცოცხლეს ხელოვნებით, როგორც ჭეშმარიტ სინამდვილით. მაგ., მუსიკა გვრის მას ისეთს გრძნობას, რომელიც მას ნამდვილად შეიძლება აროდეს არ განუცდია: განიცდის სიყვარულს, მწუხარებას, გმირულს თავგამწირულებას და სხვა...

**მეორე.** ბ-ნი დადვაძე სწერს: „ლექტორის აზრით, დეკადანსი გარყვნილებაა. ეს დიდი შეცდომაა. დეკადანსი არისტოკრატიული სულის გოდებაა“. და შემდეგ ქვევით:

„თანამედროვე დეკადანსის წარმომშობელი მარტოოდენ დიონისესა და აპოლონს შორის ბრძოლა არ არის. ამათ შორის მუდამ და ყოველთვის ყოფილა ბრძოლა და, მაშასადამე, სულის დეკადანსიც ყოფილა. ბეატრიჩე—დანტეს სულის დეკადანსია, ლაურა—პეტრარკას სულის დეკადანსია, თვითეული ტაეპი „კაენი“-სა და „მანფრედი“-დან—ბაირონის სულის დეკადანსია. მაგრამ განა ეს დეკადანსი რამით წააგავს თანამედროვე დეკადანსს? არ წააგავს, ვინაიდან თვით დიონისემ და აპოლონმა იცვალეს სახე. რამდენადაც პირველი შეიქმნა მკაცრი, დაუნდობელი, შემმუსვრელი, იმდენად მეორე—ენერგიული. და დაუნდობელსა და ენერგიულს შორის ბრძოლაც ხომ საშინელი და გულშემზარავია! რამდენადაც საშინელია ეს ბრძოლა, იმდენად ძლიერია თანამედროვე დეკადანსი“.

პირველ ყოვლისა, უნდა შევნიშნოთ, რომ დეკადანსი დიახ რომ გახრწნაა, დაშლაა მთლიანობისა, სულის დაავადება. შეიძლება, ამგვარი დაშლით, როგორც მარცვალის გახრწნით, მთლიანი ყვავილი ალმოცენდეს, მაგრამ თვითონ პროცესსი ამგვარი გარდაქმნისა ერთგვარი ავადმყოფობაა. ეს რომ არ იყოს, მაშინ დანტე და გიოტე იმგვარივე დეკადენტები იქნებოდნენ ჩვენთვის, როგორიც იყვნენ ბოდლერი და ვერლენი. გარდა ამისა, აპოლლონისა და დიონისეს შორის ბრძოლა არაფერი მოსატანია არც დეკადანსის საზოგადოთ და არც თანამედროვე დეკადანსის ასახსნელად. აქ ავტორის აზრი ძალზე ბუნდოვანია და მისი განხილვა შეუძლებელი...

**მესამე.** ბ-ნი დადვაძე სწერს: „მოკვდა დორიანი, მოკვდა მისი სილამაზე იმიტომ კი არა. რომ დიონისესა და აპოლონს შორის ომი ყოფილა. ამ ომისა არც დასაწყისი, არც ბოლო ისტორიას არ ეცოდინება. მოკვდა დორიანი, მოკვდა მისი მშვენიერება, რადგან თანამედროვე საზოგადოებამ, ამ საზოგადოების მორალმა და სულიერმა ავლა-დიდებამ ვერ შეიწყნარა ეს სილამაზე. მოკვდა დორიანი, მოკვდა მისი სიტურფე, რადგან ამ სიტურფეს ხელი შეახო, თავისი ბინძური ხელი შეახო თანამედროვე არსებობის სიდუხჭირემ, გარყვნილებამ. მოკვდა დორიანი, დიადი პიროვნება... და მკვლელად გახრწნილი კოლექტივი გახდა“.

ამგვარი ახსნა დორიანის სულისკვეთებისა შემცდარია. დორიანის ტრაგედია, ჩემის აზრით, ასეთია. მან უარჰყო ჭეშმარიტი სინამდვილე და სცოცხლობდა ხელოვნური სინამდვილით; ხელოვნურ სინამდვილემ ვერ გარდაჰქმნა იგი ნამდვილ მშვენიერებად: თუმცა მისი სხეული ლამაზი რჩებოდა, სამაგიეროთ მისი სული თანდათან მახინჯდებოდა; დორიანმა ვერ გაუძლო ამ ორი სინამდვილის განხეთქილებას და დანა დაჰკრა მისი სულის მსახველ სურათსა; იგი ვერ იხსნა მისგან მიღებულმა ხელოვნურ სინამდვილემ, ხოლო მისგან უარ-ყოფილმა ჭეშმარიტმა სინამდვილემ მასზე ეხლა მური იძია: დორიანმა თავი მოიკლა. აქ მარხია დორიანის ტრაგედია, და არა თანამედროვე კოლლექტივის გახრწნილს ატმოსფერაში.

**მეოთხე.** ბ-ნი დადვაძე სწერს: „ლექტორმა ნათლად ვერ გვამცნო, რომ ის, რაც აქვს სალომეს, არა აქვს იოქანაანს, და რაც აქვს იოქანაანს, არა აქვს სალომეს“. ეს შენიშვნა მე სამართლიანად არ მიმაჩნია. ლექციაში მე პირდაპირ ასე მაქვს წარმოთქმული: სალომეში განხორციელებულია სხეულება მთელი მისი წარმართული მშვენიერებით, ხოლო იოქანაანში სულიერება მთელი მისი ქრისტეანული სიძლიერით; სალომე უცქერს სხეულის თვალით, იოქანაანი უმზერს სულის თვალით; ლამაზი სხეული და მშვენიერი სული ვერ შეერთვენ ერთი მეორეს და დაიღუპენ. აი, ჩემი განმარტება.

**მეხუთე.** ბ-ნი დადვაძე სწერს უაილდის სულიერი დრამის შესახებ: „ეს ტრაგიზმი, ტანჯვა, ვნება ერთგვარი ემბაზია უაილდისათვის, რომელშიაც მისი სული განიბანება და ახალის შინაარსით, ახალის სიმძლავრით მოევლინება ქვეყანას“. ბ-ნი დადვაძე არას ამბობს გარკვევით, თუ რაში მდგომარეობს ეს „ახალი შინაარსი“. ჩემის აზრით, აქ უაილდმა უარჰყო განყენებული ესთეტიზმი მშვენიერების რელიგიისა. „დე პროფუნდის“-ში მას მოჰყავს ქრისტეს სიტყვები: „ნუ ფიქრობთ ხვალინდელი დღისათვის! განა, სული უფრო დიდი არ არის, ვიდრე საჭმელი?! განა, სხეული უფრო დიდი არ არის ვიდრე საცმელი?! უკანასკნელი ფრაზის თქმა შეეძლო მხოლოდ ელლინს: მასში ასე ძლიერია ელლინური გრძნობა; ხოლო მარტო ქრისტეს შეეძლო ორივე წარმოეთქვა და მით სრულებით განესაზღვრა ადამიანის ცხოვრება“. ცხადია, ქრისტეს სახემ ელლინიზმს რაღაც ახალი შემატა (სული) და მით უაილდმაც სცნო ცალმხრივობა განყენებული ესთეტიზმისა, ანუ განახლებული ელლინიზმისა. უაილდმა იხილა ახალი ჰორიზონტი, მაგრამ არ დასცალდა ამ ჰორიზონტის მხატვრული გადმოშლა.

გრიგოლ რობაქიძე.

## ახალი ამბავი

### ტფილისი

✦ **პეტიციის განხილვა.** „კასპ“ პეტერბურგიდან დეპეშით ატყობინებენ: „სინოდმა განიხილა ქართველ სამღვდელოების პეტიცია საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ და დაადგინა, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხის გადაწყვეტა გადასდოს სრულიად რუსეთის საეკლესიო კრების მოწვევამდე. საქართველოს ექსარხოსს სინოდი შეეკითხა, შეგვატყობინეთ ამ ჟამად რა მდგომარეობაშია საქართველოს ეკლესიაო“.

✦ **საუნივერსიტეტო კომიტეტი.** 31 მარტს სენატორ ვატაცის თავმჯდომარეობით მოხდა სხდომა საუნივერსიტეტო კომიტეტისა. სხდომის დაწყებისათანავე კომიტეტმა მოიგონა, რა ვითარებაშია საკითხი უნივერსიტეტის შესახებ და ჩამოაგდო ლაპარაკი უმაღლეს სასწავლებლის ტიპის შესახებ. რადგან გამოირკვა, რომ ტფილისის უმაღლეს სასწავლებლისთვის ხაზინიდან ფული არ გადაიდება, საჭირო გახდა იმისი გამორკვევა თუ სხვა და სხვა დაწესებულებანი რას გადასდებენ და რით უზრუნველ ჰყოფენ სასწავლებელს. კომიტეტმა დაადგინა, წერილობით მიმართოს კერძო პირთ თუ დაწესებულებებს და სთხოვოს, უზრუნველ ჰყონ თავიანთი დაპირებანი უნივერსიტეტისათვის ყოველ წლიურ დახმარების შესახებ. ამავე სხდომაზე კომიტეტმა მოისმინა ტფ. სავაჟო პირველ გიმნაზიის დირექტორად ნამყოფის ბ-ნ მარკოვის წერილობითი მოხსენება. ბ-ნი მარკოვი თავის მოხსენებაში ძლიერ წინაალმდეგია, რომ ხაზინამ გაიღოს რამე ტფ. უმაღლეს სასწავლებლისათვის. ტფ. მდიდარმა მოქალაქემ მანთაშევმა სომეხთა სემინარიის ასაშენებლად 250,000 მან. გადასდო და ნუ თუ არ შეუძლიან უნივერსიტეტის საქმესაც შესწიროს ფულიო? არსებითად ამ მოხსენებას კომიტეტი არ შეეხებია, მით უმეტეს, რომ საკითხი თურმე თითქმის გადაწყვეტილია: თუ საზოგადო დაწესებულებებმა არ იკისრეს, ხაზინა გროშსაც არ გაიღებს სასწავლებლის შესანახადო.

✦ **კნეინა დადეშქელიანის დაპატიმრება.** „კავკაზის“ სიტყვით, ქუთაისში გამომძიებლის უსტინოვის განკარგულებით დაუპატიმრებიათ ამას წინად ქუთაისში მოკლულ თავად დადეშქელიანის მეუღლე. კნ. დადეშქელიანი გამომძიებლის კამერიდან პირდაპირ სატუსაღოში წაუყვანიათ. მასთან ორი ქალიშვილი ყოფილა, რომელნიც ძლივს განუშორებიათ დედისთვის.

✦ **კნ. ე. ნ. მუხრანსკის წერილი.** გუშინდელ „კავკაზ“-ში დაბეჭდილია წერილი კნეინა ე. ნ. მუხრანსკისა, რომელიც აცხადებს, ხარაზოვის საქმის გამო დაპატიმრებული და ბრალდებული კნ. მუხრანსკისა—მუხრანსკისა არ არის და ტყუილად ირქმევს ამ სახელსაო.

✦ **ლოტოს შესახებ.** ტფ. გუბერნატორმა შეიმუშავა წესები ლოტოს თამაშობის შესახებ ტფილისის გუბერნიის კლუბებისთვის და დაუგზავნა ეს წესები მაზრის უფროსებს. მაზრებისთვის შემუშავებული წესები ტფილისში მიღებულ წესებისაგან მცირედ განირჩევა. მაზრების კლუბებში ზამთრობით ლოტოს თამაშობა უნდა თავდებოდეს 12 საათზე, ზაფხულობით—1-ზე. ერთი თამაშობის ფასი (ერთი კარტა) არ უნდა აღემატებოდეს ერთ შაურს. თითო თამაშობაში სამოც კაცზე მეტს არ შეუძლიან მონაწილეობა მიიღოს.

✦ **საგუბერნიო ერობის თათბირი.** დეპეშათა სააგენტო იუწყება: ბაქოს საგუბერნიო ერობის თათბირმა მოიწონა ბაქოს ნავთისმრეწველთა დადგენილება, რომ სამრეწველო რაიონი გამოეყოს სარაიონო ერობას, შემოღებულ იქმნეს არჩევნების კურიალური სისტემა და მუშებს წარმომადგენლობის უფლება მიეცეთ. უთანხმოება გამოიწვია ცენზის და ერობის საზღვრების საკითხმა.

✦ **თავ. მინგრელსკის ვალი.** უგან. თავ. მინგრელსკის ხაზინიდან აუღია სესხი—300,000 მანეთი. აღძრულა საკითხი იმის შესახებ, შეიძლება თუ არა სესხი გასტუმრებულ იქნას იმ ფულიდან, რომელსაც ადგილის გამოსასყიდლად იხდიან მინგრელსკის სამაიორატო მამულში მცხოვრები ხიზნები. ეს საკითხი განიხილა ნამესტნიკის საბჭომ და ის აზრი გამოსთქვა, რომ შეუძლებელია ხიზნებს თავ. მინგრელსკის ვალის გასასტუმრებლად მოეთხოვოთ გამოსასყიდი ფულიო.

✦ როგორც მკითხველებს ეხსომებათ, ქალაქის საბჭოს ხმოსანმა არ. ახნაზაროვმა საბჭოში აღძრა საკითხი იმის შესახებ, თუ რამდენად შესაძლებელია, რომ ხმოსანი ასრულებდეს ქალაქის თვითმმართველობაში რაიმე ჯამაგირიან თანამდებობას. ... გამგეობამ ეს საკითხი თავის აზრის გამოსათქმელად გადასცა საბჭოს იურიდიულ კომისიას. კომისიამ ამ მოხსენებისა გამო შემდეგი საკითხები წამოაყენა: 1. არსებულ კანონის ძალით შესაძლებელია თუ არა ხმოსანი ირჩეოდეს დამფასებლად განსაკუთრებულის ჯამაგირით; 2. უფლება აქვს თუ არა ხმოსანს იყოს ქალაქის საქმეებისა გამო კონტრაგენტობა—იჯარადრობა ანუ იყოს ქალაქის მოიჯარადრე თუ კონტრაგენტების სამსახურში და 3. შეუძლიანთ თუ არა ერთსა და იმავე დაწესებულებაში იმსახურონ ორმა ძმამ, ანუ ახლო ნათესავებმა. ორ პირველ საკითხის შესახებ კომისიამ ერთხმად სცნო, რომ კანონი წინააღმდეგი არ არის ხმოსანი იყოს დამფასებლად, კონტრაგენტად, მოიჯარადრედ ან ითვლებოდეს მათ სამსახურში და ამიტომ ასეთი მოვლენა კანონიერად უნდა ჩაითვალოს. მესამე საკითხის შესახებ კომისიაში ხმები გაიყო. ხმ. ი. ს. ჯაბადარი, არ. ახნაზაროვი, დემიდოვი, იოანნესიანი ამტკიცებდნენ, რომ საქალაქო დებულების მე-117 მუხ. ძალით ერთსა და იმავე დროს ქალაქის სამსახურში ვერ იქნებიან ორი ძმა ანუ ახლო ნათესავები იმ შემთხვევაშიაც კი, როცა ერთი საბჭოს მიერ არის არჩეული, ხოლო მეორე ქალაქის გამგეობის მიერ დანიშნული. პირიქით, ხმ. ხუნუნცი, ამირხანოვი, იურისკონსულტი ათაბეგოვი და ღოლუხანოვი შესაძლებლად სცნობდნენ ორის ძმისა თუ ნათესავების სამსახურს ერთსა და იმავე დროს ქალაქის თვითმმართველობის დაწესებულებებში. თათბირის შემდეგ იურიდიულმა კომისიამ, ხმის უმრავლესობით, სასურველად სცნო, რომ ხმოსანი არავითარ ჯამაგირიან თანამდებობას არ ასრულებდეს თვითმმართველობაში.

✦ ტფ. ბაპტისტთა საზოგადოების წარმომადგენლებმა გუშინ ქალაქის გა-

---

პრულ რასმე ქმნილებას მიუწდომელს. და ესავდა ბალღი ამ საკვირველ ქმნილებას. ის ამიერიდან შეიქმნა სახელმძღვანელებელი მისი კეთილისადმი, ის აძლევდა ამიერიდან აზრს მის ყოფნას. ეს პატარა მოჩვენება ისეთ შეუხებელ და ფაქიზ არსებად დაესახა ბესიკს, რომ მისი ნახვაც კი, შეხედვაც კი უნდა რითიმე დაემსახურებინა. რითი შეიძლებოდა ამ ბედნიერების დამსახურება, თუ არა მეცადინეობით, სასწავლებელში პირველობით, კეთილი ქცევით. და აი, წარმატება შეიქმნა ამ დღიდან მიზანი მისის მოქმედებისა, რადგან მარტო წარმატებას შეეძლო შეევიწროვებინა და შეეტყო ის თვალ უწვდენელი უფსკრული, რომელიც ჩასდევდა ამ ორ პატარა არსების შუა.

რახან გაუჩნდა ბესიკს საიდუმლო მიმზიდველი, გამახარებელი და გამამხნევებელი, ბალღი მთლად გამოიცვალა. გატაცებით მოეკიდა სწავლას. დედა მისი ნავთის ყიდვას ველარ ასდიოდა, რადგან ბავშვს შუაღამემდის ედგა ლამპარი და განუწყვეტლად მეცადინეობდა. მაშინ იყო, რომ ბესიკმა მთლად ამოირეცხა გულიდან გასულიყო სასწავლებლიდან და რამე ხელობა დაეწყო. სხვა ცვლილებაც ბევრი დაეტყო: აქამდის რომ სასწავლებელში არც ისე ძალიან მიუხაროდა, ეხლა მიეჩქარებოდა, ადრიან მიდიოდა; აქამდის, რომ სუფთაობას ყურადღებას არ აქცევდა, ეხლა შეიყვარა სიფაქიზე: დაიბანდა პირს, გადივარცხნიდა ქოჩორს, ჩაიცვამდა თავის ხელით ღამითვე დაკრიალებულ მესტებს, მოიშნოიანებდა ძონძმანძს და გაუდგებოდა გზას. ახლა როგორ იჭერდა სარტყელს! ჩქარობდა, რომ არ ასცდენოდა გზაზე შუქურს, მიდიოდა ფეხმარდად, სანამ იმ ქუჩას მიაღწევდა, რომელზედაც უნდა გაევლოთ მოსწავლე ქალებს; აქ კი ფეხს დააწყნარებდა, ნელა მიდიოდა, შუქურის გამოვლას ელოდა. შენიშნავდა თუ არა პატარას, სიხარულით აევსებოდა გული, ახლო გავლას კი ვერ გაჰბედავდა; ქუჩის მეორე მხარეს გაივლიდა მორცხვად, თავდახრილი, მხოლოდ ხანდისხან შეანათებდა თვალებს, რომ სასურველი სურათი აღებეჭდა გულის ფიცარზე. რახან ეღირსებოდა ამ ნეტარებას, რახან იგემებდა ამ ბედნიერებას, მეტი აღარა უნდოდა რა: მთელი დღე სიამოვნების ნათელი ჰქონდა სახეზე გადაფენილი და სიხარულის ღიმი უკრთოდა ტუჩებზე. მაგრამ როგორ იტანჯებოდა მისი პატარა გული, თუ შუქურს ვერ შეჰხვდებოდა! ტკივილსა ჰგრძნობდა, სუნთქვა ეხუთებოდა. ეხლა სრულებითაც აღარ უხაროდა ბესიკს დღესასწაულები, მეტადრე გამმული უქმეები: მაშინ ველარ ჰხედავდა შუქურს, მაშინ მზე ველარ ამოდიოდა იმისთვის.

შუქური კი მიდიოდა თავისთვის, ვერაფერს ვერ ამჩნევდა, მისთვის ბესიკი არ ამოჩენილიყო არარაობის უფსკრულიდან, არ არსებობდა მისთვის ბესიკი, როგორც არ არსებობდა ათასი სხვა „ქუჩის“ ბიჭი. მიდიოდა შუქური მალხაზად, ფეხებს მიაბაკუნებდა, ქორფა სახეზე ამაყი გამომეტყველება დაჰფენოდა, თუმცა იგი მედიდურობა ყოველ წუთს ჰქრებოდა იმის სახეზე და ცელქი ელვა გამოკრთებოდა იმის ცისფერ თვალებიდან. ან რას შეამჩნევდა შუქური ვიღაც დაგლეჯილ ბიჭს? განა პატარა ვარსკვლავი გამჩნევს შენ, როცა უმზერ და შესტრფი?!

რაც რამ კეთილს მოქმედებდა ბესიკი, ყოველსავე თავის ბედის ვარსკვლავს მოწიწებით მიუზღვნიდა და სცდილობდა მეტი სიკეთე მოეტანა მისი სახელით. დარწმუნებული იყო, რომ იგი ძვირფასი სურათი, რომელსაც ბესიკი ატარებდა გულში, ყველაფერს ხედავდა, კეთილი ახარებდა მას, ბოროტი კი აღონებდა; ყოველივე ბოროტება შეჰბღალავდა იმ სურათის სისპეტაკეს და ისე აღარ შეეფერებოდა ეხლა ბესიკს, როგორც უშვერი სიტყვა თუ ქცევა ახლად ზიარება მიღებულს. სწამდა, რომ კეთილი ღირსადა ჰხდიდა უმანკო შუქურის ხილვის, ხოლო უხამსი ქცევა და ბოროტი უღირსადა ჰხდიდა მას და აშორებდა მის სპეტაკ არსებას. ბესიკში თავი იჩინა ზნეობრივმა ცვლილებამ: იმის პირიდან აღარ ამოდიოდა ცუდი სიტყვა, თუმცა გარემო უგვანი თქმა თუ ქცევა ჩვეულებრივი იყო. სიავე და სიბოროტე დღითი დღე დნებოდა მასში, ხოლო იზრდებოდა ალერსი, მორჩილება, დაუზარებელი შრომა, ჩამოჰშორდა უბნის ბიჭებს და იმათ სათამაშო-გასართობებს, დარიკოც კი მიივიწყა, განმარტოვდა, ოცნებათა ფერად სამფლობელოში შედგა ფეხი.

ასეთი ცვლილება ბესიკისა ახარებდა დედ-მამას. მხოლოდ ერთი აფიქრებდა მათ: ყმაწვილი დაფანტულივით შეიქმნა, დაბნეული ჩანდა, ხშირად ძახილი არ ესმოდა, დაკარგული თვალებით ლანდს რასმე შესტრფოდა, უხილავს. ამ დროს დახშული იყო მისი ყურადღება, გარემო მოძრაობა ველარ აწევდა იმის ცნობიერებას, შთაბეჭდილებას ველარ ახდენდა მაზე და თუნდ სახლი ძირს დაგეცათ, არაფერი ესმოდა. ვერ გაეგოთ, რამ მოახდინა ბავშვში ყველა ეს ცვლილება. და ან როგორ გაიგებდნენ მიზეზს, როდესაც ძე-ქრისტიანმა არ იცოდა ბესიკის საიდუმლო და ვერც გაიგებდა: მას ღრმად ჰქონდა გულში დაკრძალული თავისი ოცნება და ისე უფრთხილდებოდა მას, როგორც ძუნწი საუნჯეს. ბესიკმა თავისებური სასჯელიც გამოუგონა თავის თავს: იცოდა პატარამ, როდის ბრუნდებოდა შუქური სკოლიდან, და როცა სწავლაში ვერ გაუმარჯვდებოდა, იმ დღეს ნებას აღარ მისცემდა თავის თავს შეხვედრიყო გოგონას, სხვა გზით დაბრუნდებოდა სახლში დაღონებული. ეშინოდა კიდეც შეხვედრისა: ეგონა მიმიხვდება პატარა, როგორ ცუდად დამამარცხეს დღეს სწავლაშიო.

ესე გატაცებული იყო ბესიკი თავის ჯერ მიზან-გაურკვეველი, გულუბრყვილო, უანგარო ტრფიალით და დაჰმორჩილებულიყო თავის ვარსკვლავის მიმზიდველ ძალას, როდესაც გამოუცხადეს, რომ სწავლის ფულის შემოტანამდის სასწავლებლის კარი დახშული იყო მისთვის. დედამ რომ უარი უთხრა ფულზე, რომ უბრძანა შეეწყვიტა სწავლა და დუქნის ბიჭად მისულიყო ვისთანმე, ბალღს ელდა ეცა, მთლად მისი ბუნება წინააღუდგა დედის ამ სურვილს.

როგორ შეიძლებოდა თავი დაენებებინა ეხლა სასწავლებლის გზისათვის, როდესაც მხოლოდ ამ გზაზე იყო მისი სიხარული, როდესაც მხოლოდ ეს გზა იყო ერთად-ერთი შარა, რომელსაც შეეძლო ერონინებინა იგი მიმზიდველ ნათელის შორი-ახლო მაინც?.. ყოველი სხვა გზა არ იყო იმ ციაგისაკენ მიმავალი და, მაშასადამე, იყო უვარგისი, გამოუსადეგარი, მავნებელი; ყველა სხვა ბილიკი დამაშორებელი იყო იმ სინათლისაგან და, მაშასადამე, საზარელი, ამოსაქოლი. როგორ შეიძლებოდა დასთანხმებოდა ბესიკი დედის წინადადებას?! დედისაგან პასუხის მიღების დროს რომ სთქვა ბავშმა, თავს მოვიკლავო, გულიდან ამოხეთქილი გრძნობა გამოხატა, რადგან ამ შემთხვევაში იმის პატარა ცხოვრებას აზრი ეკარგებოდა. იმ ღამეს დიდ-ხანს არ დასძინებია და როცა დაეძინა, ნახა, რომ დასჭიდებოდნენ მას, ყელში უჭერდნენ, საღლაც ბნელისაკენ მიათრევდნენ. გულგახეთქილმა გაიღვიძა და წამოვარდა ზეზე. კიდევ იმედი ჰქონდა, იქნება დედის გული მოლბეს და გაიმეტოს სწავლის ფულიო, მაგრამ მოტყუვდა. როცა აიღო ხელში წიგნები და მოემზადა წასასვლელად, დედამ უბრძანა:

— სადღა მიხვალ, ბიჭო? აკი უთქვამთ, უფულოდ აღარ შემოგიშვებთო. ღარიბები ვართ, ფულს ვერ მოგცემთ. მთელი სახლი ხომ შენ არ შემოგევლება თავს. დარჩი შინ!

აქ კი ველარ მოითმინა ბესიკმა და ამოუშვა ტირილი. თვალ-ცრემლიანი წავიდა სასწავლებელში, პირდაპირ შევიდა უფროსთან და შესჩივლა თავისი გასაჭირი. ზედამხედველმა გულდასმით მოუსმინა, იგრძნო, რა ბოროტება იქნებოდა, რა სისასტიკე, რომ ბავშვი გაეგდო სასწავლებლიდან და აღუთქვა დახმარება. ადვილადა აუსრულა აღთქმა, რადგან ბავშვი კარგადა სწავლობდა ეხლა.

ამ ბედნიერი დღის შემდეგ მარჯვედ წავიდა ბესიკის საქმე. [illegible]მა თავი მიანება ბესიკს. [illegible] აღარ ატანდა სასწავლებლის[illegible] თავი დაენებებინა და შესდგომოდა ხელობას თუ ვაჭრობას, რადგან ეხლა მათ ფულს აღარავინა სთხოვდა და გარდა ამისა, ცხადად დაინახეს, რომ ბავშვთან ბრძოლა ამ შემთხვევაში ამაო იქნებოდა და სახიფათოც: შეუძლებელი იყო დაეყოლიებინათ და თუ ძალას დაატანდნენ, იქნება კიდეც აესრულებინა მუქარა და მართლა აეტეხნა რამე თავის თავისათვის.

ბესიკს მოშორდა ის შიში, რომელსაც ჰგვრიდა დედის სურვილი და თავისუფლად ამოისუნთქა; მთელის ძალით მიეცა სწავლას. თვალსაჩინო ნაყოფი გამოიღო შრომამ: ბალღი მალე მოექცა საუკეთესო მოსწავლეთა რიცხვში და კმაყოფილებით აევსო გული, რახან სწავლა შეიყვარა პატარამ, ცოდნაც ეტრფიალა მას, გაუღიმა ტკბილად, გადუშალა მკერდი და მიუპყრო გამოუთქმელი სიტკბოება და სიამე, დაუსახა ფიქრთა და გრძნობათა თვალწარმტაცი წალკოტი სავსე ფერად-ფერად ყვავილებით; იქ სდიოდნენ სურვილთა თუ ოცნებათა ანკარა ნაკადნი, იქ ესვენა ხატება უცვალებელ მშვენებისა თუ ჭეშმარიტებისა, იგი ხატი აშუქებდა ედემს წყნარის ნათელით ხხიარულით; მუნ მოისმოდა ხმა მწყობრი სადიდებლად იმ გარდუვალის მშვენებისა. მოსწავლე მოხიბლული იყო ამ ტურფა ჩვენებით; ის მხოლოდ ამ ზღაპრულ წალკოტსღა ხედავდა სამყაროში, ამ წალკოტის ჰაერით-ღა სუნთქავდა, იმის სურათებს ევლებოდა თავს, იმისკენ იყო მიქცეული მისი არსება. გარემო ცხოვრებისთვის ზურგი შეექცია, საყოველდღეო ცხოვრება საიდანღაც შორიდან მოქმედებდა მასზე, ყმაწვილი დაჰხწევიყო იმის პირდაპირ ზედგავლენას, განზე გამდგარიყო, განშორებოდა მას.

მიჰქროდა დრო. ბესიკი იზრდებოდა, ვითარდებოდა, გონივრდებოდა. უფროს კლასში ყველასაგან საყვარელი მოსწავლე შეიქმნა, სამაგალითო, საქებური გრძნობებით და [illegible]სწრაფებებით კი ისევ ბავშვი იყო გულუბრყვილო, კეთილი და სპეტაკი. მთელი მისი პიროვნება რა[illegible] სიტკბოებით იყო გაქღენთილი [illegible]ჰარმონიებით, ხოლო უშრეტი წყ[illegible] ამ სიკეთისა იყო მის გულში ღრ[illegible] დაკრძალული, იგი იყო ტკ[illegible] საიდუმლო მისი.

ვ. ბარნოვი.

(შემდეგი იქნება)

მგეობაში შუამდგომლობა აღძრეს, ქალაქის თვითმმართველობამ დაუთმოს ბაპტისტებს ადგილი სალოცავ სახლისა და სკოლის შენობისათვის ანდრეევისა ანუ ელისაბედის ქუჩაზე.

◆ რედაქციამ მიიღო საყმაწვილო ჟურნალ „ჯეჯილის“ მესამე ნომერი.

◆ ტფ. პოლიციის მოხელეებს ამ დღეებში ცნობა მიუღიათ, რომ გუმბრის მცხოვრები გრიგოლ ალექსანდრეს ძე ბებუროვი ასაღებს ტფილისის გარეშე ქაღალდის ფულის მზგავსად დაჭრილ ქაღალდებსაო. ბებუროვი გაჩხრიკეს 30 მარტს და უნახეს 3 პრესი, გასაღები, ლითონის სახაზავი, ქაღალდის დასტების სახვევი და სხვა. გაჩხრეკის დროს ბებუროვის ბინაზე აღმოჩნდა ერთი უცნობი კაცი, რომელიც გუმბრისავე მცხოვრები მანუკა ხოლოიანცი გამოდგა. ორივენი დააპატიმრეს.

◆ 30 მარტს პოლიციამ დააპატიმრა რაჭის მაზრის მცხოვრები დომენტი ცხვირაშვილი, რომელიც 1909 წლიდან სამხედრო ბეგრის თავიდან ასაცილებლად იმალებოდა. ცხვირაშვილი პოლიციამ რაჭის მაზრის უფროსს გაუგზავნა.

◆ ტფ. გენერალ-გუბერნატორის 28 მარტის დადგენილებით ტფილისის მცხოვრები ვარლამ ლორთქიფანიძე პასპორტის პოლიციაში გამოუცხადებლობისა გამო დაჯარიმებულ იქმნა 50 მან. ან დაპატიმრებულ იქმნას 2 კვირით. კვირა დღით ვაჭრობისათვის 15 მან. დააჯარიმეს კაფირ ჰუსეინ-ოღლი, ხოლო პოლიციის მოხელეს შეურაცხყოფისათვის—100 მანეთით იაკობ ალაჯანოვი ან ერთი თვით დაპატიმრებით.

◆ ახალციხის მაზრის მცხოვრებს ამიდ თაირ-ოღლის ვორონცოვის ქუჩაზე გაჩრეკის დროს აღმოაჩნდა ერთი ყუთი 52 გირვანქა თამბაქოთი სავსე. თამბაქო ჩამოერთვა თაირ-ოღლის და გაეგზავნა სააქციზო სამმართველოს, ხოლო თაირ-ოღლი პასუხის-გებაში იქმნა მიცემული.

◆ 31 მარტს კრუგლოვის ქუჩაზე დააპატიმრეს აბდურახმან ჯაფაროვი, რომელსაც აღმოაჩნდა რევოლვერი. 30 მარტს გაჩხრიკეს და დააპატიმრეს პოლიციის მე-7, 8 და 12 ნაწილში 25 უპასპორტო კაცი.

## მოწერილი ამბები

**ხონი.** 28 მარტს მოხდა ხონის საურთიერთო ნდობის საზოგადოების წლიური კრება. თავმჯდომარედ არჩეულ იქნა გრ. ბურჭულაძე, მდივნად—გალ. მებუკე. კრება შეუდგა 1909 წლის ანგარიშის განხილვას. როგორც ანგარიშიდანა სჩანს, 1909 წლის 1 იანვრისთვის საზოგადოებას ჰყოლია 250 წევრი. საანგარიშო წლის განმავლობაში მიმატებია 8 წევრი, გასულა 15 წევრი, ამრიგად შარშან ამხანაგობას დაჰკლებია 7 წევრი. საზოგადოებას სათადარიგო თანხაში ჰქონია 2211 მან. 59 კაპ. გასული წლის განმავლობაში კასას დაუტრიალებია 1,010,357 მან. 79 კაპ. 1910 წლის 1 იანვრისთვის ჰქონია ქონება 1133 მან. 48 კაპ. 1909 წლის განმავლობაში საზოგადოებას დაუხარჯავს: მოსამსახურეთა ჯამაგირზე, სახლის ქირაზე, სავაჭრო მოწყობილებზე და სხვაზე 4740 მან. 17 კაპ. საზოგადოება ვექსილების განაღდებაში იღებს 11 პროცენტს. ქაღალდების გირაოში ახდევინებს 10 პროცენტს, საქონლის გირაოში კი 12 პროცენტს. ნახესხ ფულში ამხანაგობა აძლევს 3 პროცენტს. ვინც ისესხებს ამხანაგობისაგან 5 თვით, ერთშეზა 4 პროცენტი, 6 თვით 5 პროცენტი, 1 წლით 6 პროცენტი და ორი წლით—7 პროცენტი. საზოგადოებას შემოსვლია საანგარიშო წლის განმავლობაში 15290 მან. 54 კ. ხარჯები უთქვამს სულ 12794 მან. 98 კაპ. წმინდა მოგება დარჩენია 2495 მან. 50 კაპ. მოუგიათ ყოველ ას მანეთზე 6 მანეთი.

ამ ანგარიშის შესახებ სარევიზიო კომისიამ წაიკითხა თავისი მოხსენება. მან აღნიშნა, რომ ანგარიში სწორედაა შედგენილი. აღნიშნა სხვა და სხვა ნაკლიც. საზოგადოება თურმე არ იღებს წევრებად და არ უხსნის კრედიტს სოფლის შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობებს.

სარევიზიო კომისიის მოხსენებაზე დიდხანს იდავიდეს. ბ-ნ მ. [illegible]შვილმა სთქვა, წესდებს საზოგადოებისა კომისიას უფრო მეტი მნიშვნელობა გამოეჩინა, ვიდრე წინა წლებში. მანვე სთქვა, საშიშარი არ არის სოფლის შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობების წევრად მიღება და კრედიტის მიცემათ. მით უფრო არ არის საშიშო, რომ ამხანაგობის ყოველი წევრი პასუხისმგებელია ვალის წინაშე და ნუ თუ იმ ამხანაგობაში ერთი ისეთი წევრი მაინც არ იქნება, რომ ფული აუნაზღაუროსო. ორატორს პასუხი გასცა ი. ბერიძემ. მ. გრიგოლ შემდეგ პ. კიკალიშვილის [illegible] თავმჯდომარემ ი. ბერიძე სიტყვის თქმა აუკრძალა. მაინც დაამთავრა. კიკალიშვილმა მოითხოვა, ი. ბერიძეს თავისი სიტყვები უკანვე წაეღო, ბერიძემ არ ინება. პ. კიკალიშვილმა თავმჯდომარეს სთხოვა სიტყვის წარმოთქმის ნება. თავმჯდომარე შეჰპირდა, შემდეგ მოგცემთ. სარევიზიო კომისიის მოხსენებას და იმ ორატორებს, რომელთაც იდაპარაკეს საზოგადოების ნაკლოვანებაზე, პასუხი გასცა გამგეობის თავმჯდომარემ. ამავე ორატორმა სთქვა ორიოდე სიტყვა საზოგადოების 10 წლის არსებობაზე. ბოლოს კრებამ დაამტკიცა ანგარიში.

საზოგადოება თავის მოგების 10 პროცენტს წინად სწირავდა ადგილობრივ სახელოსნო სკოლას. ეხლა კი, ამ 10 პროცენტს სწირავს ადგილობრივ ვაჟთა პროგიმნაზიას. წრეულსაც შესწირეს პროგიმნაზიას 10 პროცენტი, რაც შეადგენდა 229 მან. 55 კაპ., ამავე კრებას წ.-კ. საზოგადოებამ სთხოვა, სამკითხველოს შენობას დაგვეხმარეთო. გამგეობის თავმჯდომარემ სასურველად სცნო დახმარება და წევრებს უთხრა: 6 მანეთის მაგიერ 5 მან. 50 კ. გაიტანეთ; ასე თუ მოიქეცით, დარჩება 137 მან. 15 კაპ., აქედან 100 მანეთი შევწიროთ სამკითხველოს შენობის ამგებ ფონდს, დანარჩენი სათადარიგო თანხას მოუმატოთო. გამოჩნდნენ ზოგიერთი, რომელიც ეს კეთილი აზრი არ ინდომეს და განგაში ასტეხეს: „ბარემ მოლად დაგვტოვებთ და ესაო“ ამათ რიცხვში იყო იდ. ბალანჩივაძეც, მაგრამ კრებამ მაინც დაადგინა, გადასდოს სამკითხველოს შენობისათვის 100 მანეთი, ხოლო დანარჩენი სათადარიგო თანხას მოუმატეს.

შემდეგ წაიკითხეს მიმდინარე წლის ხარჯთ აღრიცხვა. მოსალოდნელია ხარჯი 4740 მან. 17 კაპ. საყარაულოდ ამხანაგობას ერთი მცველი მოუმატეს, და დაეკისრა თავადს ითხოვნა დუქნის პატრონისა, სადაც არის, შესახებ დუქნის კითხვის მიმატებისა. ამრიგად ხარჯთ-აღრიცხვას მიუმატა 330 მანეთი.

კრებას მოხსენდა: მე 17 პარაგრაფის მე-6 მუხლის ძალით არა გვაქვს ნება ას მანეთზე ნაკლებ მივიღოთ შესანახადაო. ეს კი ძლიერ აფერხებს საზოგადოების საქმეებსაო. ეს მუხლი შეცვლილ იქმნა. კრებამ დაადგინა, 25 მანეთამდის შეიძლებოდეს საზოგადოებაში ფულის შენახვაო. 25 მანეთზედ ნაკლები არ შეიძლება.

საზოგადოებაში დაგირავებული ყოფილა შარაშიძის მამული სახლიანად. რადგანაც სახლი დაუზღვეველია და რადგან შესაძლებელია იგი დაიწვას, გამგეობამ ითხოვა მისი დაზღვევა. კრებამ სახლის დაზღვევა საჭიროდ არა სცნო, რადგან მამულიც ასანაზღაურებს ვალს.

დასასრულ მოხდა არჩევნები. რადგან მოსიკო ჭელიძემ უარი სთქვა საბჭოს წევრობაზე, იმის ნაცვლად აარჩიეს გალ. მებუკე. დანარჩენი წევრები საბჭოსი, სარევიზიო კომისიისა და გამგეობისა ისევ ძველები დასტოვეს.

შემდეგ ამისა პ. კიკალიშვილმა, მიიღო რა ნება სიტყვისა, პასუხი გასცა იდ. ბერიძეს. პ. კიკალიშვილმაც ბევრი არა სასურველი სიტყვა იხმარა. ამ სიტყვამ ააბრაზა ი. ბერიძე და ბევრი უშვერი სიტყვა დახარჯა. ამით დასრულდა კრება.

ორიოდე სიტყვა კიდევ. 1908 წელს საზოგადოებაში დაკარგულა 300 მანეთის ვექსილი. ვექსილების ყარაულობა გამგეობის წევრის მ. ქუთათელაძის ხელში ყოფილა. საბჭოს გადაუწყვეტია, ეს ფული გადახდევინებოდა მ. ქუთათელაძეს. მოახსენა რა ეს კრებას, სარევიზიო კომისიამ დაუმატა რად კაცს მ. ქუთათელაძეს ეს საქმე დაუდევრობით მოუვიდა, ამიტომ გაპატიოთ. კრებამ აპატია ფულის გადახდა მ. ქუთათელაძეს, მაგრამ გაფრთხილა შემდეგში არ განმეორდეს ასეთი დაუდევრობაო. მ. ქუთათელაძემ განაცხადა: „მიუხედავად იმისა, რომ საქმე გამოურკვეველია და მე დამნაშავე არა ვარ, მაინც ასეთის პატივისცემისათვის დიდ მადლობას გიძღვნითო“. ნება-უნებურად იბადება ეჭვი, რომ საზოგადოებაში რაღაც საიდუმლოა. მ. ქუთათელაძე დამნაშავედ თავს არ სთვლის, მოსიკო ჭელიძე საბჭოს წევრობას თავს ანებებს და ამბობს, ამ ერთი წლის განმავლობაში დავრწმუნდი, რომ პირნათლად ჩემი მოვალეობის ასრულება არ შემიძლიანო, საზოგადოებაში ხმაა, რომ 300 მანეთის ვექსილის დაკარგვაში მთელ გამგეობასაც უდევს ბრალიო. საქმე გამოურკვეველია. 300 მანეთის დაკარგვაში ვინ არის დამნაშავე, არავინ იცის, სასურველი კი იყო ნათელის მოფენა. 300 მანეთი დიდი ფული არ არის, მაგრამ სიმართლის გამორკვევა პატარამიაც საჭიროა.

**გ. ცახაკუნე.**

## ჟურნალი „მოსავალი“

არა ერთხელ გვითქვამს, რომ სასოფლო-სამეურნეო ჟურნალი „მოსავალი“ სასარგებლო და პრაქტიკულად გამოსაყენებელ სამეურნეო სწავლა-ცოდნის გავრცელებას ემსახურება ხალხში. ეხლა ამას ისიც უნდა დავუმატოთ, რომ ჟურნალი ყველა მასალის ბეჭდვას დროის შესაფერისად ახერხებს. აპრილის ნომერში, მაგალითად, დაბეჭდილია:

1. „რა მნიშვნელობა აქვს იონჯასა და სამყურა ბალახის თესვას ნიადაგის განოყიერებაში“ (ეხლა სწორედ ორივე ბალახის თესვისა).

2. „შაბიამნის მაგიერ (რომელიც ასე ძვირად ჯდება) რა წამალი ხმარობენ ამერიკაში ვენახების მოსაწამლად“ (ეხლა სწორედ შაბიამნის სყიდვის დროა).

3. „რა ადგილი უჭირავს ჩვენებურ აბრეშუმს სოფლიო ბაზარზე“, წერილი მ-რს ლიდან ი. ქუთათელაძისი ეხლა (სწორედ ჭიობის დროა და ვინც ამას მისდევს საჭიროა ყველა ეს იცოდეთ).

4. „ადრეული კარტოფილის სხვა და სხვა ჯიში და მათი მოყვანა“, (ეხლა სწორედ დარგვის დროა)

5. „როგორ უნდა მოეწყოს სოფელი მინდორი პატივის შესარჩევად“, (გაგრძელება) და სხვა და სხვა.

ამასთან უნდა აღვნიშნოთ, რომ, რამდენიმე [illegible], ჟურნალის თანამშრომელი [illegible] მომწერელი ემატება. [illegible] გლეხები, რომელთაც აქამომდე იქნება არცერთ გამოცემისათვის არ გაუღიათ თავიანთი ნაოფლი ფული. გლეხების უმეტეს არიან მეურნე ქალები, მერე მღვდლები და სხვანი. ყველა ეს იმას ნიშნავს, რომ ჟურნალი „მოსავალი“ მალე შეიძლება „სახალხო საქმედ“ გარდაიქცეს, თუ პირველ ხანს მატერიალურ გაჭირვებას გაუძლო.

## თეატრი და ხელოვნება

**ქუთაისი.** შაბათს, 3 აპრილისათვის, ქალაქის თეატრში დანიშნულია ლიტერატურულ-მუსიკალური საღამო, არქიელის გორაზე არსებულ უფასო სახალხო წიგნთსაცავსამკითხველოს სასარგებლოდ. საღამოს პროგრამაში შედის ორი ვოდევილი, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ ადგილობრივი არტისტები, სხვათა შორის, ქ-ნი [illegible] დავითაშვილი, ბ-ნი ბალანჩივაძე და სხვა., ქართული ხორო, ფორტეპიანოზე დაკვრა, კვარტეტი, დუეტი, ლექსების და სახუმარო კუპლეტების კითხვა. სამკითხველო ინახება ადგილობრივ ღარიბ მცხოვრებთა ხარჯით. ამ ჟამად იგი მეტად გაჭირვებულ მდგომარეობაშია უსახსრობისა გამო, დახმარება კი არსაიდან არა სჩანს, მის არსებობას კი მეტად თვალსაჩინო სარგებლობა მოაქვს როგორც ადგილობრივ მცხოვრებთათვის, ისე მოსწავლე ახალგაზრდობისათვის. თუ ღიდი მოთხოვნილება არის სამკითხველოს, ეს ცხადად სჩანს მოსიარულეთა სიიდან. შემოსული ფული მთლად გადაეცემა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ადგილობრივ განყოფილებას, რომლის სახელობაზედაც გახსნილია ეს სამკითხველო და იგი საჭიროებისა და გვარად მოახმარებს შემოსულ ფულს.

## ოსმალეთი

### აჯანყება ალბანიაში.

უცხოეთის გაზეთების ცნობიდან ჩანს, რომ აჯანყებას ალბანიაში ამ ჟამად უფრო სერიოზული ხასიათი აქვს, ვინემ წინანდელ აჯანყებებს ჰქონდა ხოლმე, როგორც ეტყობა, აჯანყების უმთავრეს მიზეზად უნდა ჩაითვალოს: დარჩენილ გადასახადების გამორთმევა, ახალ გადასახადების შემოღება და ახალ სამხედრო წესდების გამოცემა; ამ წესდებით, როგორც ვიცით, ამიერიდან ოსმალეთის ჯარში უნდა იმსახურონ ოსმალეთის ყველა ქვეშევრდომმა ეროვნებისა და სარწმუნოების გაურჩევლად. ალბანელები მოითხოვენ კოსოვის ვილაეთის ეხლანდელ გუბერნატორისა და უველა იმ ახალგაზრდა ოსმალოს დათხოვნას, რომლებიც ალბანიაში მსახურებენ.

ოსმალეთის მთავრობის მომხრე გაზ. „ტანინ“-ის აზრით, ალბანელთა ეხლანდელი აჯანყება მიმართულია ოსმალეთის კონსტიტუციის წინააღმდეგ. გაზეთი ამბობს, რომ ოსმალეთის მთავრობა არავითარ სასტიკ ღონისძიებას არ მოერიდება აჯანყებულ ალბანელთა დასამშვიდებლად და დასამორჩილებლად.

ოსმალეთის მთავრობამ მთელ ჩრდილოეთ ალბანიაში გამოაცხადა საალყო წესები. მოძრაობის ცენტრად სთვლიან —პრიზრენის და პრიშტინის ოლქებს. აჯანყებულთა რიცხვი ადის 10—15 ათასამდე. ისინი კარგად არიან შეიარაღებულნი, ზარბაზნებიც აქვთ ალბანელებს და ოსმალოს ჯარს რამდენიმე ძლიერი შეტაკება მოუვიდათ. ოსმალეთის მთავრობა იმ ღონისძიებას მიიღებს, რომ აჯანყებულთა რაზმები სერბიის ან ბოსნიის საზღვარზე არ გადავიდნენ. („რ. ვ.“).

როგორც ახალ დეპეშებიდან ჩანს; ოსმალეთის ჯარს უკვე დაუმშვიდებია ალბანელები. ოსმალეთის მთავრობა კიდევ ბევრ ჯარსა ჰგზავნის ალბანიაში იმ აზრით, რომ იქ ახალი აჯანყება შეუძლებელი გახადოს.

**შევკეთ-ფაშას აზრი ალბანელთა აჯანყებაზე.**

ოსმალეთის სამხედრო მინისტრს მახმუდ შევკეთ-ფაშას უთქვამს:

ალბანელთა მეთაურები, უმეცრები, რეაქციონერები არიან; მათი აჯანყებაც ანტიკონსტიტუციონურია, რადგან კონსტიტუციის დაწესებამ დაარღვია სწორედ ამ რეაქციონერების ინტერესები. მათ ისარგებლეს ხალხის უვიცობით და ისეთი ახირებული სიცრუეც კი დააჯერებინეს ალბანელებს, ვითომ უმეცრებს, ვისაც წვერი აქვს, განსაკუთრებულ გადასახადს დაადებენო. ამას გარდა, უცხოელებიც ხელს უწყობენ ალბანელთა აჯანყებას. მეტად საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ოსმალეთმა მოხელეებმა იპეკში დაატუსაღეს ორი უცხოელი. კერძო ცნობით, ესენი ავსტრიელები ყოფილან.

**სულთნის შეწირულება.**

სულთანმა მაჰმად მეხუთემ 5 მილიონ მანეთზე მეტი შესწირა სახელმწიფო საშუალო სკოლის დასაარსებლად სტამბოლში მუსულმან ქალთათვის. სკოლა მოწყობილი იქნება ევროპიულ სიქალებო პანსიონების მსგავსად. ეს პირველი საშუალო საქალებო სასწავლებელი იქნება ოსმალეთში.

## პრუსიეთი

### ბრძოლა საარჩევნო უფლებისთვის პრუსიაში

წარსულ კვირა დღეს ბერლინში მოახდინეს დიდებული მიტინგები, რომლებშიაც მონაწილეობა მიიღო 200 ათასამდე სულმა. პოლიცია არ ერეოდა საქმეში. წესიერებას იცავდნენ თითონ მონაწილენი. დღემ სრულიად მშვიდობიანად ჩაიარა. ყველა კრებაზე დაადგინეს ერთნაირად რეზოლუცია, რომლითაც მოითხოვენ საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი და ფარული საარჩევნო უფლება. ქალ. ბრესლაუში კი პოლიცია იარაღით ჰშლიდა კრებებს, ბევრნი დასჭრა და უფრო მეტი ხალხი დაატუსაღა.

## სასამართლო

### ხარაზოვის საქმე.

მკითხველებმა უკვე იციან, რომ ტფილისის სამხედრო სასამართლომ გაარჩია საქმე ტფილისის მდიდარ ვაჭრის ხარაზოვის შვილის გატაცების შესახებ. პასუხისგებაში მიცემულნი იყვნენ: იაკობ ტატიშვილი, პეტრე ქორქაძე, ნინო მუხრანსკისა, დიმიტრი ქორქაძე, ევგენი რევინი, შალვა შარაშენიძე და ეფრემ გაბუნია. სასამართლომ უდანაშაულოდ იცნო იაკობ ტატიშვილი და პეტრე ქორქაძე (იცავდნენ ი. ა. ბარათაშვილი და გედევანიშვილი) და გაამართლა. ნინო მუხრანსკისა დამნაშავედ იცნეს და და მიუსაჯეს 3 წლით და ნახევრით პატიმართა გამასწორებელ რაზმში გაგზავნა,—ყოველივე ღირსება უპირატესობათა ჩამორთმევით. დანარჩენები—დიმიტრი ქორქაძე, ევგენი რევინი, შალვა შარაშენიძე (იცავდნენ ვექილები—ი. გ. მაღალაშვილი, ტურკევიჩი, გედევანიშვილი და ელიავა) დამნაშავედ იცნო ხარაზოვის შვილის გიმნაზიის მოწაფის გატაცებაში და მიუსაჯა თითოს 4 წლით კატორგა—უფლება-უპირატესობათა ჩამორთმევით.

საქმის გარჩევის დროს გამოირკვა, რომ ხარაზოვს ბოროტმოქმედთათვის 17,000 მანეთი მიუცია შვილის გამოსასყიდლად.

დანარჩენი ბრალდებულნი: გრიგოლ ლავრენტიევი, ეფიმ [illegible], სერგეი თაყაიშვილი, ივანე მელქაძე და სამსონ (იგივე სიმონი) ბერიძე სასამართლოს დაემალნენ. მათ შესახებ სასამართლომ დაადგინა—შეაჩეროს საქმე სანამ ეს პირნი დაპატიმრებულ—იქმნებიან ან თავიანთ ნებით გამოცხადდებიან.

## განცხადებანი

## ქუთაისში

◀ კიწმარიშვილის და ამხ. ▶

**თესლეულობის მაღაზიაში** მიღებულია სხვა და სხვა თესლეულობა ახალ ბოსტნეულის, ყვავილების და ბალახების: იონჯის, სამყურის და კორინდრისა. აქვე იყიდება საგანგებოდ დამზადებული ძმათა პასხალიდების თეთრი აბრეშუმის თესლი. მსურველთ კატალოგი უფასოდ ეგზავნება. (25—კვ.—19)

ვ. ყიფიანის დრამა

## სამეგრელოს მთავარი ◀ ლევან

ისტორიული დრამა 5 მოქმედებად გამოცემა გაზ. „დროების“ რედაქციისა და კ. მესხიევისა.

**ფასი ორი აბაზი**

იყიდება „დროების“ რედაქციაში და წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში.

## ქართველ საზოგადოებას

ქართული **სახალხო და საყმაწვილო** წიგნების გამოცემა თითქმის მთლად მოისპო და შესწყდა ჩვენში, აღარავინა ჰყავს მას მფარველი და პატრონი. დღეს მთელი ჩვენი სამწერლო ძალა ხმარდება მხოლოდ ჟურნალ-გაზეთობას, მაგრამ ვინ არ ვიცით, რომ მარტო ეს არა კმარა და იმავ დროს უთუოდ წიგნების გამოცემის საქმესაც უნდა ვათხოვოთ ყური. წიგნი იაფი და მარტივია, შეიცავს ერთი რომელიმე საგნის აღწერას და ამიტომ უფრო ადვილია მისით ხალხში ცოდნის შეტანა. მაგრამ უბედურება იმაშია, რომ წიგნის გამოცემა თხოულობს დიდ ფულსა და კიდევაც ეს არის უმთავრესი მიზეზი, თუ რატომ ასე მცირედ ჰყავს მას თავ-დადებული მოჰირნახულე იმ დროს, როცა ჟურნალ-გაზეთი შეიცავს წერილებს და ახალ ამბებს სადღეისო ჭირ-ვარამზე, რომელთა წაკითხვა და გაცნობა შეადგენს აუცილებელს მოთხოვნილებას ყოველი შეგნებული ადამიანისთვის და ამიტომაც სადღება იგი გამოსვლისათანავე, წიგნის გასყიდვას, პირიქით, სჭირია ხშირად მთელი ათი და ოცი წლები. მოდი და ემსახურე წიგნის გამოცემის საქმეს ასეთს პირობებში, მეტადრე ისეთს პატარა ერში, როგორც ქართველობაა!?..

მაგრამ არის ერთი საშუალება, რომელსაც შეუძლიან ავად თუ კარგად ასულდგმულოს წიგნების **შეუყენებლად** გამოცემის საქმეცა. ჩვენ მოგახსენებთ **ხელის-მოწერაზე**. მდგომარე 1910 წლისათვის ჩვენ გადავწყვიტეთ გამოვცეთ პირველი მაისიდან **24 სახალხო და საყმაწვილო წიგნი**, ე. ი. სამ-სამი წიგნი თვეში და რომ არც მსურველთ გაუჭირდეთ ხელის-მოწერა და ჩვენც შეგვეძლოს სულ პატარა რედაქციის მაინც შენახვა, ხელის-მოსაწერ ფასად ვნიშნავთ მხოლოდ **ორ მანეთს**, გზავნით, იმათთვის, ვინც ამ ფულს შემოიტანს ერთად მკათათვის პირველამდის და **სამ მანეთს** იმათთვის, ვინც ამ ფულს შემოიტანს ერთად ანუ თითო მანეთობით ენკენისთვის პირველამდის...

ამ ჟამად ჩვენ განმზადებული გვაქვს გამოსაცემად შემდეგი, არა ნაკლებ 16—32 გვერდისა, თხზულებანი: 1) უსაჭიროესი ცნობანი პურის თესვა-მოყვანაზე; 2) იონჯაბალახის თესვა-მოყვანა და მისით მეწველი საქონლის მომრავლება ოჯახში, როგორც ერთი საუკეთესო საშუალება ჩვენი დაცემული ოჯახის გამოსაბრუნებლად; 3) ძირითადი საშუალება ჩვენი სასოფლო მეურნეობა-მრეწველობის აღორძინებისა და უმამულო გლეხთა **უფულოდ** მამულით დაკმაყოფილებისა; 4) ვენახისა და ხეხილის ბაღების გაშენება; 5) ვაზის და ხეხილის ავადმყოფობანი და წამლობა; 6) ღვინის დაყენება-გაუკეთესება, წახდენა და წამლობა; 7) საბოსტნე მცენარეების თესვა მოყვანა, მოხმარება და შენახვა; 8) რა არის პოლიტიკური ეკონომია? 9) ზნეობა და პოლიტიკური ეკონომია; 10) ქალაქი და სოფელი; 11) სახლების ამშენებელი ამხანაგობანი და მათი მოწყობა ჩვენს ქალაქებსა და სოფლებში; 12) აღორძინების ეპოქის გავლენა სწავლა-აღზრდაზედ; 13) ახალი წესი წერა-კითხვის სწავლებისა და სახალხო-საოჯახო ანბანი, შავი, დიდი ასოებით დაბეჭდილი; 14) ერთ-წლიანი კურსები სამშობლო ენისა ანუ რით და როგორ ვასწავლოთ მოზრდილებს წერა-კითხვა სულ იაფად და ჩქარა; 15) ადამიანის ძვლები, კუნთები, ტვინი და ნერვები; 16) ჯანმრთელობა და სიცოცხლის ხანგრძლივობა; 17) ორსულობა-მშობიარობა და ბავშვების გამოკვება; 18) გადამდები ავადმყოფობანი; 19) დედამიწის შუაგული და მიწისძვრანი; 20) ვარსკვლავთ-მრიცხველობა ანუ ასტრონომია; 21) საქართველოს დედა-ქალაქნი—მცხეთა და თბილისი (სურათებით); 22) სამწუხარო განთიადი (ისტორიული მოთხრობა); 23) გულ-უბრყვილო გლეხი (სურათებით, პატარებისთვის); 24) ღრუტუნას ნაამბობი (სურათებით, პატარებისთვის); 25) ვირის თავ-გადასავალი (სურათებით, პატარებისთვის); 26) უძველესი მოგზაურები (სურათებით, მოზრდილთათვის); 27) ამერიკის აღმოჩენა ქრისტეფორე კოლუმბის მიერ (სურათებით, მოზრდილთათვის); 28) ახალი მოგზაურები (სურათებით-მოზრდილთათვის) და სხვა და სხვ.

რედაქცია იტოვებს უფლებას შეცვალოს ზოგიერთი აქ მოხსენებული მასალა სხვა უფრო უკეთესით. ვსთხოვთ წიგნებით მოვაჭრეებს, მღვდლებს, მასწავლებლებს და საზოგადოთ ყველას, ვისაც სწადიან ხელი გაგვიმართოს დაწყებულ საქმეში ითავონ ხელის-მომწერლების შოვნა თავიანთ ნაცნობებში და მოკრეფილი ფული, შემომტანთო სახელ-გვარით, ზემოთ-გამოცხადებულ ვადაზე მოგვაწოდონ (უამისოთ წიგნები არავის არ გაეგზავნება), მანეთზე ორი შაურის გამორიცხვით ხარჯისთვის. საჭიროა აგენტები ტფილისში.

ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგის მისამართით: въ Тифлисъ, Тумановскій переулокъ, № 38, Ивану Павловичу Ростомашвили. (3—211—2)